პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 30-ე წელი

კვირა, 2 ოქტომბერი, 1949 წ. № № 196 (8499). ფასი 20 კაპ.

დღეს მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეა.

მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ერთად დღევანდელ დღეს ერთხმად აღიმაღლებენ ხმას ახალი ომისა და მისი გამჩაღებლების წინააღმდეგ, ხალხთა შორის მშვიდობისა და თავისუფლების დასაცავად.

კიდევ უფრო შევამჭიდროვოთ ჩვენი რიგები მტკიცე მშვიდობისათვის, კომუნიზმის დიადი საქმისათვის!

გაუმარჯოს საბჭოთა ქვეყანას—მშვიდობისა და დემოკრატიის ბურჯს!

დიდება დიდ სტალინს—მთელი მსოფლიოს მშრომელთა იმედსა და მოამაგეს.

მშვიდობისათვის, ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ

დღეს მშვიდობის დაცვის საერთაშორისო დღეა. მთელი მსოფლიოს მშვიდობისმოყვარე ხალხები დღეს ერთსულოვნად გამოდიან და მტკიცედ გამოთქვამენ თავიანთ გადაწყვეტილებას, რომ წინააღმდეგი არიან ომისა, რომ მშვიდობა სურთ.

მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისას მთელი მსოფლიოს მშრომელთა საყვარელი ბელადი და მასწავლებელი დიდი სტალინი ხალხს მიმართავდა: „ახლა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ, რომ მთელ მსოფლიოში მშვიდობის საჭირო პირობები უკვე მოპოვებულია... დადგა დიდი ხნის ნანატრი მშვიდობა მთელი მსოფლიოს ხალხებისათვის".

მაგრამ ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები, რომლებმაც ხელი მოითბეს მეორე მსოფლიო ომის დროს, კვლავ ცდილობენ ომის გაჩაღებას, კვლავ ცდილობენ სისხლის მორევში გადააგდონ მსოფლიო. ჯერ ჭრილობები არ მოუშუშებიათ ომისაგან დაზარალებულ ხალხებს, მშრომელთა ოფლით გასუქებული ამერიკელი ბიზნესმენები კი ახალი ომის გაჩაღებაზე ზრუნავენ.

მეორე მსოფლიო ომი დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ძალების დიდი გამარჯვებით დამთავრდა. ომმა კაპიტალიზმის საერთო კრიზისის გამწვავება გამოიწვია. ის ქვეყნები, სადაც ბურჟუაზია ბატონობს, სულ უფრო უიმედოდ და ღრმად ეფლობიან ეკონომიურ და პოლიტიკურ წინააღმდეგობათა, იმპერიალისტური მეტოქეობისა და სოციალური კონფლიქტების ჭაობში.

იმპერიალისტური ბანაკის მთავარი ქვეყანა—ამერიკის შეერთებული შტატები, რომლის ეკონომიკა შეპყრობილია თანამედროვე პარაზიტული, ძირმომპალი კაპიტალიზმის ყველა საბედისწერო სენით, თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო რეაქციის ცენტრი გახდა. ამერიკის ეკონომიკას, რომლის მშვიდობიან რელსებზე გადაყვანას სულ უფროდაუფრო აფერხებენ კაპიტალისტები, ემუქრება მძიმე ეკონომიური კრიზისი, რომელსაც უდიდესი გაჭირვება მოაქვს ათეულ მილიონობით მამაკაცისა და ქალისათვის, მოზარდებისათვის, დედებისა და ბავშვებისათვის. ვერც „ტრუმენის დოქტრინამ" და ვერც „მარშალის გეგმამ" ვერ უშველა ამერიკის ეკონომიკას. ამყამად სავსებით ნათელია, რომ ეკონომიური კრიზისი თავის მორევში ითრევს დასავლეთ ევროპის მარშალიზებულ ქვეყნებსაც. ფაქტია, რომ მარშალის გეგმა ჩაიშალა და დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიამ, რომელიც ამ ყმადაღებული გეგმით ნასუფრალს იღებდა, დოლარის ეტლს მიაჯაჭვა დასავლეთ ევროპის ქვეყნები, გაჰყიდა მათი თავისუფლება და დამოუკიდებლობა და ისინი უოლ-სტრიტის საამებლად გასწირა.

ინგლისელ-ამერიკელი იმპერიალისტები კვლავ ომში ეძებენ გამოსავალს. ამ მიზნით იყენებენ იმპერიალიზმის არსენალში არსებულ ყველა საშუალებას მშვიდობისმოყვარე ქვეყნებში ჯაშუშთა შეგზავნას, შპიონაჟსა და შანტაჟს, მავნებლობასა და დივერსიას, ეკონომიური ბლოკადის ორგანიზაციას და აპირებენ თავისებური „სანიტარული კორდონის" მოწყობასაც კი. ინგლის-ამერიკის იმპერიალისტები აქტიურად უჭერენ მხარს სახალხო დემოკრატიის ქვეყნების შინაურ რეაქციას, რომელიც ეყრდნობა ძველი რეაქციული პარტიების ნაშთებს, მიწაჩამორთმეულ მემამულეებს, ნაციონალიზებული საწარმოების ყოფილ მეპატრონეებს და ჯერ კიდევ გამოუძღვანებელ ფაშისტებს, რომლებიც მზად არიან ბითუმად და ცალობით მიჰყიდონ თავიანთი ქვეყანა ზღვასგაღმა „მზრუნველებს". სასამართლო პროცესებზე, რომლებიც ჩატარდა ევროპის ცენტრალურ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ქვეყნებში—მანიუს ჯგუფისა რუმინეთში, ნიკოლა პეტკოვისა ბულგარეთში, კოჩი ძოძესი ალბანეთში, ფრანც ნადისა, რაიკისა და მის თანამონაწილეთა უნგრეთში და სხვა, ნათლად გამოაშკარავდა, რომ ინგლის-ამერიკის დაზვერვის ორგანოები იყენენ ანტისახალხო შეთქმულებათა სულისჩამდგმელები და ორგანიზატორები ამ ქვეყნებში.

თავიანთი ვიწრო ეგოისტური მიზნების მისაღწევად ინგლისელი და ამერიკელი იმპერიალისტები ერთმანეთის წინააღმდეგ ამხედრებენ „დამოუკიდებელ" სახელმწიფოებს, ხელოვნურად აჩაღებენ მათ შორის კონფლიქტებს, აწყობენ ამ ქვეყნებში სახელმწიფო გადატრიალებას, მიმართავენ მოსყიდვას სესხის მიცემის სახით, ძალადობასა და შანტაჟს, აგებენ იქ სამხედრო-სტრატეგიულ ობიექტებს, მხარს უჭერენ და თვითონ უკარნახებენ ადგილობრივ მთავრობებს ანტიდემოკრატიულ პოლიტიკას, მონაწილეობენ დემოკრატიული ორგანიზაციების განადგურებაში, აწყობენ პროვოკაციებს მათზე დამოკიდებულ მთავრობებსა და საბჭოთა კავშირს შორის ურთიერთობის გასამწვავებლად.

ახალი ომის იმპერიალისტი გამჩაღებლები ატომური ბომბით ემუქრებიან მშვიდობისმოყვარე ქვეყნებსა და ხალხებს.

მაგრამ ომის გამჩაღებელთა მუქარას წარმატება არ უწერია. დღითიდღე იზრდება მშვიდობის ძალები, რომელთა სათავეში დიდი საბჭოთა კავშირი დგას. საბჭოთა კავშირი, რომელმაც ორი მეხუთედით გადააჭარბა სამრეწველო წარმოების ომამდელ დონეს, მძლავრი და მტკიცე აღმავლობის გზით მიდის. მძლავრი აღმავლობის გზით მიდიან აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნები, რომლებიც სარგებლობენ საბჭოთა კავშირის დახმარებით და უკვე შორს მოიტოვეს ომამდელი დონე. მშვიდობის ძალებს დაუშრეტელი რეზერვები მოეპოვებათ ჩინეთში, ინდოეთში და სხვა კოლონიურ და ნახევრადკოლონიურ ქვეყნებში, სადაც ნაციონალურ-განმათავისუფლებელი მოძრაობა სულ უფროდაუფრო ფართო ხასიათს იღებს.

დემოკრატიული და ანტიიმპერიალისტური ბანაკის მეთაური—საბჭოთა კავშირი უძლიერესი ქვეყანაა. მას აქვს მძლავრი სოციალისტური მრეწველობა და სოციალისტური მეურნეობა, მოქნილი ტრანსპორტი, ჰყავს პირველხარისხოვანი საჭურვლით შეიარაღებული გმირი საბჭოთა არმია, რომელსაც ბადალი არ მოეპოვება მსოფლიოში, აქვს ყველა სახეობის იარაღი, მათ შორის ის „საიდუმლო იარაღიც", რითაც თავი მოაქვთ ინგლისელ-ამერიკელ იმპერიალისტებს და განადგურებით ემუქრებიან მსოფლიოს დემოკრატიულ ძალებს. არაფრის არ ეშინია ჩვენს უძლეველ ქვეყანას, მაგრამ იგი ერთგულია ბრძნული სტალინური სამშვიდობო პოლიტიკისა და მშვიდობას სთავაზობს ყველა სახელმწიფოს. ამყამად მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის ცნობილია საბჭოთა ქვეყნის სამშვიდობო წინადადებანი. ჩვენს ქვეყანას სურს გააერთიანოს მშვიდობის ძალები და ბოლო მოუღოს ომის გაჩაღების ყველა კამპანიას, აღმოფხვრას საერთაშორისო უთანხმოების ყველა მიზეზი, რათა ყველა ხალხს შესაძლებლობა მიეცეს თავისი რესურსები და თავისი ენერგია მოახმაროს ომისაგან დაზარალებული სახალხო მეურნეობის აღდგენასა და შემდგომ წინსვლას, თავის მატერიალურ და კულტურულ აყვავებას.

მთელი მსოფლიოს მშრომელთათვის სულ უფროდაუფრო გასაგები და მახლობელი ხდება ბრძნული სტალინური სამშვიდობო პოლიტიკა, რომელსაც ჩვენი ქვეყანა ახორციელებს. ომის გამჩაღებელთა არმია მცირდება. „მე არ ვიცი, — განაცხადა ამხანაგმა სტალინმა თავის ინტერვიუში „პრავდის" კორესპონდენტთან, — მოახერხებენ თუ არა ბ-ნი ჩერჩილი და მისი მეგობრები მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოაწყონ ახალი სამხედრო ლაშქრობა „აღმოსავლეთ ევროპის" წინააღმდეგ, მაგრამ თუ მათ ეს მოახერხეს, რაც ნაკლებ დასაჯერებელია, რადგან მილიონობით „უბრალო ადამიანები" მშვიდობიანობის საქმის სადარაჯოზე დგანან, დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ისინი ისევე დამარცხდებიან, როგორც დამარცხდნენ წარსულში..."

ბუმბერაზული ნაბიჯით მიდის წინ საბჭოთა ქვეყანა—მთელ მსოფლიოში მშვიდობის ბურჯი. იმპერიალისტთა ვერავითარი მუქარა ვერ შეაჩერებს მის წინსვლას დიადი კომუნიზმისაკენ. რეაქციის ძალების ყოველგვარ გამოხდომას რკინის ხელით აღგვიან სოციალიზმისა და დემოკრატიის ძალები, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა ხელმძღვანელობს.

გაუმარჯოს მძლავრ საბჭოთა ქვეყანას!

გაუმარჯოს დიდ სტალინს!

თბილისში ჩამოვიდა ალბანელ გლეხთა დელეგაცია

30 სექტემბერს თბილისში ჩამოვიდა ალბანელ გლეხთა დელეგაცია ალბანეთის სახალხო რესპუბლიკის მიწათმოქმედებისა და ტყეთა მინისტრის გაკო ტაშკოს მეთაურობით.

თბილისის ვოგზალზე სტუმრებს შეხვდნენ საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ამხ. მ. დ. ბუჯიაშვილი, ი. ა. კახიანი, ი. ი. პატარაშვილი.

დელეგაციის წევრები გაეცნენ თბილისის ღირსშესანიშნავ ადგილებს, დათვალიერეს ვ. ი. ლენინის სახელობის მუზეუმის თბილისის ფილიალი.

საღამოს ალბანელ გლეხთა დელეგაცია დაესწრო მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადის კონცერტს ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრში.

საქართველოში ყოფნისას დელეგაცია გაეცნობა კოლხიდის დაბლობის ამოშრობის სამუშაოებს, ინახულებს დასავლეთ საქართველოსა და კახეთის კოლმეურნეობებსა და სახელმწიფო მეურნეობებს, ნახავს ისტორიულ სახლს ქალაქ გორში, სადაც დაიბადა და ბავშვობის წლები გაატარა დიდმა სტალინმა. (საქდინფორმი).

მოსკოვი, კრემლი

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ იოსებ ბესარიონის-ძე სტალინს

მოგახსენებთ, ძვირფასო ამხანაგო სტალინ, რომ ლატვიის სსრ კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა შეასრულეს ნაკისრი ვალდებულება სახელმწიფოსათვის პურის დამზადების გეგმის გადამეტებით სულ ცოტა 700 ათასი ფუთი პურის ჩაბარების შესახებ. გეგმის გადამეტებით ჩაბარებულია 710 ათასი ფუთი პური. პურის ჩაბარება გრძელდება.

კოლმეურნეობებმა, საბჭოთა მეურნეობებმა და გლეხურმა მეურნეობებმა ვადამდე შეასრულეს მატყლის დამზადების წლიური გეგმა. ჩაბარებულია 315 ცენტნერით მეტი მატყლი, ვიდრე 1948 წელს.

მატყლის ზეგეგმითი ჩაბარება გრძელდება.

ლატვიის კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი კალნბერზინი

ლატვიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ლაციხი

სსრ კავშირის დამზადებათა სამინისტროს რწმუნებული ლატვიის სს რესპუბლიკაში ბლოშჩანენკო

ლატვიის სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრი ვანასი

ლ. პ. ბერიას სახელობის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობამ შეასრულა ნაკისრი ვალდებულება

ლ. პ. ბერიას სახელობის წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა შეასრულა ნაკისრი ვალდებულება და წლიური გეგმის გადამეტებით ჩააბარა 150 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

საბჭოთა მეურნეობის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა კიდევ დამატებით მოკრიფოს 100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

ვალდებულების გადამეტებით—21 ტონა ჩაი

ზუგდიდის რაიონის ახალსოფლის კოლმეურნეობა „კოლხიდამ" (თავმჯდომარე ამხ. შეროზია) წელს კარგად მოუარა ჩაის პლანტაციებს, ზუსტად განახორციელა აგროწესები და შედეგიც კარგი მიიღო. 29 სექტემბრისათვის 42 ჰექტარ ფართობზე მოკრიფა და სახელმწიფოს ჩააბარა 215 ათასი კილოგრამი ხარისხოვანი ჩაის მწვანე ფოთოლი, რაც საშუალოდ ჰექტარზე 5.120 კილოგრამს შეადგენს. მოკრეფილი ფოთლის 90 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ახალსოფლელმა კოლმეურნეებმა იკისრეს 10 ოქტომბრისათვის დამატებით მოკრიფონ 21 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი.

საოქტომბრო სოციალისტური შეჯიბრება

მოწინავე მაღაროები და ადამიანები

ჭიათურა. (საკ. კორ.). მარგანეცის ქალაქის მშრომელები თავდადებულად შრომობენ, რათა ახალი საწარმოო გამარჯვებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის 32-ე წლისთავს. ლენინის სახელობის მაღაროს კოლექტივმა თბილისელ დაზგათმშენებელთა მოწოდების პასუხად ხელახლა ასწონდასწონა თავისი შესაძლებლობანი და წლიური გეგმის 20 ოქტომბრისათვის შესრულება იკისრა. წლიური გეგმის 1 ნოემბრისათვის შესრულება იკისრა ბერიას სახელობის მაღაროს კოლექტივმა.

ჭიათურელი მაღაროელები პირნათლად ანაღდებენ ნაკისრ ვალდებულებებს. ლენინისა და ბერიას სახელობის მაღაროებმა 15 სექტემბრისათვის გადაჭარბებით შეასრულეს ცხრა თვის დავალებანი. ლენინის სახელობის მაღაროში მარგანეცს გეგმის გადამეტებით იძლევიან ის უბნები, რომლებსაც პ. ჩაჩანიძე, ი. ფხალაძე, მ. გორგაძე, გ. ჩაჩანიძე, ა. ჭრელაშვილი, ბ. კუპატაძე ხელმძღვანელობენ. ეს უბნები გადაჭარბებით ასრულებენ შრომის ნაყოფიერების გეგმებსაც და სამშობლოს ათეულ ათას მანეთობით ეკონომიას აძლევენ. სტახანოველები ვ. მეგრელიშვილი, ვ. ბუღაძე, გ. თოდაძე, გ. ცუცქირიძე და სხვ. საწარმოო დავალებებს 180-200 პროცენტით ანაღდებენ.

სტალინის სახელობის მაღაროში წინ მიდის მესამე უბანი, რომელსაც საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ტრ. ფოფხაძე ხელმძღვანელობს. ეს უბანი წინათ ჩამორჩებოდა, მაგრამ გამრჯე და მუყაითი გამგის უნარიანი გაძღოლით ახლა გადაჭარბებით ასრულებს დავალებებს, უბანში კარგად არის მოწყობილი შრომა, ზრუნავენ წარმოების მაღალი კულტურის დასანერგავად. სტალინის სახელობის მაღაროში პატიოსანი შრომით თავი ისახელეს ა. ძინძიბაძემ, ს. ოთინაშვილმა, მ. დევიძემ, კ. ცუცქირიძემ, გ. საღირაშვილმა, ი. ხვედელიძემ, მ. ჭუმბურიძემ და სხვებმა.

საოქტომბრო შეჯიბრებაში დაწინაურდა დიმიტროვის სახელობის მაღაროს კოლექტივიც, რომელიც ახლა გადაჭარბებით ასრულებს სადღეღამისო დავალებებს.

ჭიათურელი მაღაროელები მნიშვნელოვანი საწარმოო მიღწევებით აღნიშნავენ დიად თარიღს.

ხაშურელ რკინიგზელთა მიღწევები

ხაშური. (საკ. კორ.) ხაშურის საელმავლო დეპოს კოლექტივი თავდადებით იბრძვის იმისათვის, რომ 7 ნოემბრისათვის შეასრულოს წლიური გეგმა, რაც საოქტომბრო შეჯიბრებით იკისრა. მოპოვებულია პირველი წარმატებანი, შესრულებულია ელექტროენერგიის დაზოგვისა და ზეგეგმითი დაგროვების წლიური დავალება, საგრძნობლად შემცირებულია „ავადმყოფ" ელმავალთა რაოდენობა და შეკეთებაში ელმავლის დგომის დრო. განსაკუთრებით დაწინაურდა აწევითი შეკეთების საამქრო, რომელმაც წლიური დავალება 1 სექტემბრისათვის შეასრულა.

შესანიშნავ შრომითს წარმატებებს აღწევენ მოწინავე სტახანოველები. შემდეგელი ა. ქურდაძე, რომელმაც 11 წლის ნორმა შეასრულა, დღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ანაღდებს. შრომის ასეთსავე მაღალ ნაყოფიერებას აღწევენ ზეინკალი ი. დავითაძე, მჭედელი გ. რევაზაშვილი, ხარატი ნ. გიგუაშვილი და სხვები.

საოქტომბრო ვალდებულებებს წარმატებით ასრულებენ აგრეთვე სავაგონო დეპოს, საორთქლმავლო დეპოს, სალიანდაგო და კავშირგაბმულობის დისტანციის, ენერგომომარაგების უბნის კოლექტივები.

დამთავრდა საქართველოს მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა

გუშინ თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში დასკვნითს კონცერტზე გამოვიდნენ საუკეთესო გუნდები და ინდივიდუალური შემსრულებლები. საღამომ ნათელყო ის დიდი წარმატებანი, რომლებიც მოპოვებულია ომისშემდგომ წლებში ქართული ხალხური შემოქმედების განვითარების დარგში. ხალხში გამოვლინდნენ საუკეთესო მომღერლები, მოცეკვავეები, მეჩონგურე-მეფანდურეები და სხვა ხალხურ საკრავებზე ქართული მელოდიების შემსრულებლები.

განსაკუთრებით მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი ხალხური ცეკვები — ფერხული, ხორუმი, დავლური, ქართული, მთიულური, მოხევური...

მაყურებელთა მქუხარე ტაში დაიმსახურეს კოლმეურნე პოეტებმა, რომლებმაც ოლიმპიადაზე საკუთარი ლექსები წაიკითხეს.

კვლავ დიდი წარმატებით ჩაატარა ლიტერატურულ-მუსიკალური მონტაჟი „ქართლის განთიადი" გორის კულტურის სახლთან არსებულმა თვითმოქმედმა წრემ. განსაკუთრებით აღსანიშნავია ამ წრის მიერ შესრულებული ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები. მაყურებელთა უდიდესი აღტაცება გამოიწვია „იავნანამ", რომელსაც გორის ციხის ფონზე ალიზით ნაშენ პატარა სახლთან დედა უმღერის აკვანში მწოლარე ყრმას, ხალხთა თავისუფლების მზეს, მსოფლიოს მშრომელთა იმედს.

როგორ შეიძლება აუღელვებლად შეხვდე გუნდის მიერ წარმოდგენილ ცეკვებს „ჭიდაობასა" და „ლახტურს", რომელთა შესრულების შემდეგ სცენის სიღრმეში ამომავალი მზის შუქით გაბრწყინებულ გორის ციხესთან პატარა სოსო მეგობრებთან ერთად წიგნს კითხულობს.

ან შემდეგი მომენტი, როცა გუნდი წამოიწყებს ძლევის სიმღერას, როცა კვლავ შუქი დაადგება გორის ციხეს და ქართლის ბაღში გამოჩნდება ადამიანი, რომლის სახელთან დაკავშირებულია ხალხთა საყოველთაო ბედნიერება, სიხარული და გამარჯვება, სიცოცხლე და საამური ცხოვრება.

ოლიმპიადამ გამოავლინა არა მარტო მხატვრული თვითმოქმედი წრეების ნაყოფიერი მუშაობა, არამედ ის ძლიერი შრომითი პათოსიც, რომელიც დამახასიათებელია თანამედროვე საკოლმეურნეო სოფლისა.

სცენაზეა სოციალისტური შრომის გმირი თემურ თარბა. იგი სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მომღერალთა გუნდის წევრია.

— სიმღერა სოციალისტური შრომის გმირ თემურ თარბას რგოლზე.

ისმის ნაზი მელოდია, რომელიც მალე საცეკვაო მოტივით იცვლება და აგერ წრეს უვლის თვითონ თემურ თარბა, მას ეცილება სოციალისტური შრომის გმირი დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე გრიგოლ არძინბა. ამ გუნდის სიმღერასა და ცეკვაში მონაწილეობენ საკოლმეურნეო სოფლის წარჩინებული ადამიანები ლენინის, წითელი დროშის და „სპატიო ნიშნის" ორდენოსნები, მედალოსნები.

ასეთივე მოწინავე ადამიანებისაგან შედგებიან სხვა გუნდებიც, როგორიცაა ბოლნისის, ყვარლის, ორჯონიკიძის, მახარაძის, აბაშის, ახმეტის, გალის, გეგეჭკორის, დუშეთის, ხაშურის, სიღნაღის, ცხაკაიას, ჩოხატაურის რაიონებიდან, აჭარისა და აფხაზეთის ასს რესპუბლიკებიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან მოსული ანსამბლები.

ნამდვილი სახალხო ზეიმი იყო მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკური ოლიმპიადა. გარდა სიმღერისა, მუსიკისა და ცეკვისა, ოლიმპიადაზე წარმოდგენილი იყო სახვითი ხელოვნების ნიმუშები, რომლებსაც თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის ერთ-ერთი დიდი დარბაზი ჰქონდა დათმობილი. ხუთი დღის განმავლობაში იგი რამდენიმე ათეულმა ათასმა მშრომელმა დაათვალიერა. გამოფენა ნათელყოფს იმ დიდ შემოქმედებით ტრადიციას, რომელიც აქვს ქართველ ხალხს ფერწერის, ხეზე და ქვაზე კვეთილობის, ქარგვისა და სახვითი ხელოვნების სხვა დარგებში.

დღეს ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრში მაყურებლის წინაშე კვლავ წარსდგებიან ხალხური სიმღერისა და ცეკვის საუკეთესო გუნდები.

სურათზე: 1. გალის რაიონის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. ცეკვას ასრულებს 115 წლის ლუკა შარია, 2. გუდაუთის რაიონის სოფელ დურიფშის ბერიას სახელობის კოლმეურნეობის მომღერალთა გუნდი. ცეკვავს სოციალისტური შრომის გმირი თემურ თარბა, 3. ზემოსვანეთის მომღერალთა გუნდი კუნირზე ასრულებს სვანურ ხალხურ სიმღერას.

ფოტო ვლ. გიანბატრგისა

დავრაზმოთ ჩვენი ძალები მჯიცე მშვიდობისათვის, სოციალიზმისა და დემოკრატიის დაცვისათვის

★ ★ ★ ★ ★

მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები უძლეველი არიან

დღეს ჩვენი დიადი ხალხი კიდევ ერთხელ გამოთქვამს მშვიდობისადმი თავის ურყევ მისწრაფებას, თავის დამოკიდებულებას ახალი ომის გამჩაღებელთა მიმართ. ჩვენ არა გვსურს ახალი ომი არა იმიტომ, რომ რამდენადმე მაინც ეშვი გვეპარებოდეს ჩვენს ძლიერებაში — ჩვენ გავიმარჯვებთ ყოველ ომში, ყოველგვარ ძტერთან,—არამედ იმიტომ, რომ ჩვენს სინდისს არ სურს და არ ძალუძს დაუშვას ხალხთა ახალი უსაშინელესი ტანჯვა და უბედურება.

ჩვენი ხმა აღსავსეა სიმტკიცით და რწმენით იმიტომ, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ მატერიალურად და მორალურად. ამ ძლიერებას ვგრძნობთ საბჭოთა ადამიანები და ჩვენთან ერთად დემოკრატიული ქვეყნების ხალხები, რომელნიც ჩვენთან ერთად მიისწრაფვიან მშვიდობის განმტკიცების საერთო გზით.

მე მქონდა პატივი ვყოფილიყავი ჩვენი ქვეყნის დელეგატთა რიცხვში მშვიდობის მომხრეთა საერთაშორისო კონფერენციაზე პარიზსა და პრაღაში; წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე ამ უდიდესმა ერთსულოვნებამ, თავის ძალებისა და თავის საქმის სიმართლის მტკიცე რწმენამ, რაც ამ კონგრესზე გამოიჩინეს დემოკრატიული ქვეყნების წარმომადგენლებმა, დაწყებული მრავალმილიონიანი დემოკრატიული ჩინეთით და გათავებული პატარა, ტანჯული საბერძნეთის პროგრესული მოღვაწეებით.

ასეთივე ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს ჩემზე ერთსულოვნებამ და ენთუზიაზმმა, რომლითაც გამსჭვალული იყვნენ ჩვენი ხალხების წარმომადგენელნი ერთი თვის წინათ მოსკოვში შემდგარ მშვიდობის მომხრეთა საკავშირო კონფერენციაზე.

ჩვენი ძლიერება მყოვნდება ჩვენი მთავრობის ყოველ მოქმედებაში, რაც მიმართულია ახალი ომის თავიდან აცილებისაკენ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ჩვენი დელეგატების ყოველ გამოსვლაში.

ჩვენი სიტყვა და საქმე ერთი იყო მანამდეც, სანამ დავეუფლებოდით ატომურ იარაღს, და იგივეა ახლაც. ჩვენ არა ვგავართ და არასოდეს დავემსგავსებით იმ ადამიანებს, რომელთა კილო და მოქმედება იცვლება იმისდამიხედვით, თუ რა იარაღს მალავენ ისინი ზურგს უკან.

ცნობამ ჩვენში ატომური იარაღის არსებობის შესახებ იმპერიალისტურ ქვეყნებში გამოიწვია ყუმბარის შთაბეჭდილება მოახდინა.

ჩვენ, საბჭოთა ადამიანები, დიდი ხანია ვიყავით დარწმუნებულნი იმაში, რომ ჩვენი მეცნიერები, — მსოფლიოში ყველაზე მოწინავე მეცნიერების წარმომადგენლები, რომელნიც გარემოსილნი არიან პარტიისა და მთავრობის უდიდესი მზრუნველობით, შექმნიან ყველაფერს, რაც საჭიროა ჩვენი დიადი სამშობლოს უშიშროებისათვის.

ჩვენ არა ვფიქრობთ ატომური ენერგიის გამოყენებას საომარი მიზნებით, მაგრამ ვაი მათ, ვინც პირველი გაბედავს ჩაიდინოს ეს. მათ თავს დაატყდებათ მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალების რისხვა და აღგვის პირისაგან მიწისა.

ჩვენ, საბჭოთა მეცნიერები, შემდეგშიც თავდადებულად ვემსახურებით ჩვენს ქვეყანას, მშვიდობის საქმეს, იმ ნათელ იდეებს, რომელნიც შთააგონებენ ჩვენს დიად სამშობლოს და რომელთა განსახიერებაც არის დიდი სტალინი.

აკადემიკოსი ნ. მუსხელიშვილი
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

ალიო მირცხულავა

მ შ ვ ი დ ო ბ ა

ისევ სისხლისღვრა სურთ არამზადებს,
აკრთობთ, აშინებთ დროშა წითელი,
ჩვენ აქ საქვეყნო საქმეს ვამზადებთ,
ატომს ამზადებს უოლ-სტრიტელი.

ჩვენ კომუნიზმის ვაგებთ ხარაჩოს,
გმირთა შრომაა დაუშრეტელი,
ჩვენ აქ ბავშვების აკვნებს ვდარაჯობთ,
იქ მსხვერპლს დარაჯობს უოლ-სტრიტელი.

ზღვასთან მომდგარნი ხარბად გვიღრენენ,
ისევ ომი და სისხლი სწყურიათ,
ისევ ქვემეხთა ლულებს გვიღერენ,
თავზე ჯავშანი დაუხურიათ.

ამაოდ! მტერი ვერ გააჩაღებს
ომის ცეცხლსა და უამინდობას,
რადგან მძლავრია ხალხთა ლაშქარი,
რადგან სტალინი იცავს მშვიდობას.

სადაც სჭალინია იქ მუდამ გამარჯვებაა

მხოლოდ რამდენიმე წელმა განვლო დიდი სამამულო ომის დამთავრებიდან. მილიონობით ქალსა და ბავშვს თავიანთი შვილების, ქმრებისა და მშობლების დაღუპვის გამო ჯერ კიდევ თვალებზე ცრემლები არ შეშრობია, ოკეანის გაღმა ამერიკელი იმპერიალისტები კი ახალი სისხლისმღვრელი ომისათვის ემზადებიან. მშრომელ ხალხს არ სურს ომი. მთელი მსოფლიოს მოწინავე ადამიანები, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობით, მტკიცედ ირაზმებიან ომის წინააღმდეგ, საყოველთაო მშვიდობის დასაცავად. ჩვენი დიადი სამშობლო, მისი გმირი ხალხი გამოდის მსოფლიოს პროგრესულ ადამიანთა ავანგარდში, რომლებიც მტკიცედ იბრძვიან თავისუფლებისა და დემოკრატიისათვის.

სულ სხვა სურათია კაპიტალისტურ ქვეყნებში. იქ იმპერიალისტი რეაქციონერები აგრესიულ გეგმებს ადგენენ ახალი ომის გასაჩაღებლად, მაგრამ მათ მიერ ახალი ომის პროპაგანდა უდიდეს წინააღმდეგობას აწყდება. მშვიდობის მომხრეთა მსოფლიო კონგრესი და კონფერენციები, რომლებიც ნათლად გამოხატავენ ხალხის ნებას ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, ნათელყოფენ იმ ფაქტს, რომ მშვიდობის დაცვისათვის ზრუნავს მსოფლიოს ყველა მშრომელი.

საქართველო, რომელსაც ბევრჯერ დაუცავს თავი შემოსეული მტრის ურდოებისაგან, საბჭოთა ხელისუფლების წლებში აყვავდა და გაიფურჩქნა. უმაგალითო აღმავლობას მიაღწია კულტურულმა ცხოვრებამ, რომელიც მოპოვებულია ბოლშევიკური პარტიის ხელძღვანელობით, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის მეთაურობით.

საბჭოთა ხალხის კულტურულ-სამეურნეო და პოლიტიკური წარმატებანი მოსვენებას არ აძლევენ დაღუპვის პირად მისულ იმპერიალისტებს. იმპერიალისტები გრძნობენ თავიანთი აღსასრულის მოახლოებას და ახალი სისხლისღვრისათვის ემზადებიან. ჩვენი, ყოველი საბჭოთა პატრიოტის ამოცანაა მტკიცედ დავიცვათ მშვიდობა, კეთილსინდისიერად და ბეჯითად ვიმუშაოთ სამშობლოს კულტურული და სამეურნეო ცხოვრების აღმავლობისათვის, ჩვენი შრომით, სიფხიზლითა და გამძლეობით უფრო განვამტკიცოთ ჩვენი ქვეყნის ძლიერება.

უძლეველია მშვიდობისა და დემოკრატიის ძალები მთელ მსოფლიოში და რეაქციის არავითარ მაქინაციას არ შეუძლია ჩაახშოს ხალხების ეს მიზანსწრაფვა. მსოფლიოს ხალხთა ყველა გზა სოციალიზმისაკენ მიდის. კაპიტალიზმის დაღუპვა გარდუვალია.

კიდევ უფრო მჭიდროდ დავირაზმოთ ლენინ-სტალინის დიადი პარტიის, ჩვენი დიდი ბელადისა და მასწავლებლის ამხანაგ სტალინის ირგვლივ, ვინაიდან სადაც სტალინია, იქ ყოველთვის გამარჯვებაა.

დიდება დიდ სტალინს!

აკაკი ვასაძე
სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი

უფრო ნაყოფიერად და ენერგიულად ვიმუშავებ

საბჭოთა სახელმწიფომ და მისმა ხალხმა გმირული შრომისა და ბრძოლის სახელოვანი გზა განვლო. ამ გზაზე მრავალი განსაცდელი გადავიტანეთ და მთელ მსოფლიოს დავუმტკიცეთ საბჭოთა წყობილებისა და მისი ხალხის უძლეველობა. კაპიტალისტური სამყარო და მისი ბნელი ძალები ყოველთვის შურის თვალით შესცქეროდნენ ჩვენს წინსვლას, ცდილობდნენ სოციალისტური სახელმწიფოს ხელყოფას და მისი თავისუფლებისმოყვარე ხალხების დამონებას. დიდი სამამულო ომი, რომელიც საბჭოთა ხალხის ბრწყინვალე გამარჯვებით დამთავრდა, საბჭოთა სახელმწიფოსა და ხალხის სერიოზული გამოცდა იყო. ჩვენ ამ გამოცდას გავუძელით და ომიდან უფრო ძლიერი და სახელმოხვეჭილი გამოვედით.

ჩვენ შევძელით ფაშისტური მონობისაგან გვეხსნა მთელი მსოფლიო. სამამულო ომში საბჭოთა სახელმწიფოს გამარჯვებამ თავისუფლება და ბედნიერება მოუტანა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, რომლებიც მტკიცედ დაადგნენ სოციალიზმის გზას და საბჭოთა ქვეყნის მეთაურობით გაბედულად მიდიან წინ.

იმპერიალიზმის რეაქციული ძალები და მათი დაქირავებული აგენტები ამერიკელი კაციჭამიების მეთაურობით, რომელთაც მსოფლიო ბატონობა სურთ, ვერ ურიგდებიან საბჭოთა სახელმწიფოსა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ძლიერებისა და ავტორიტეტის შეუჩერებელ ზრდას, აკოწიწებენ ათასგვარ ბლოკებს და ცდილობენ ახალი ომი მოამზადონ. მათ ავიწყდებათ, რომ მშვიდობის მომხრეთა ძალები გაცილებით ძლიერია, გაცილებით ბრძოლისუნარიანია, ვიდრე ამერიკელ იმპერიალისტთა და მათი დამქაშების ძალები. მათ დაიციწყეს ჰიტლერისა და მისი მომდევრების ხვედრი.

2 ოქტომბერს, მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეს, მთელი მსოფლიოს დემოკრატიული ძალები, საბჭოთა კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების ხალხებთან ერთად ერთხელ კიდევ აღიმაღლებენ ხმას ომისა და მისი გამჩაღებლების წინააღმდეგ, მშვიდობისა და ხალხთა თავისუფლების შესანარჩუნებლად.

ისე როგორც ჩვენი სამშობლოს ყველა პატრიოტს, მე კარგად მესმის ჩემი ვალი სამშობლოსა და ხალხის წინაშე. 16 წელია თბილისის ავტოშემკეთებელ ქარხანაში ვმუშაობ და ჩემი წვლილი შემაქვს კომუნიზმის გამარჯვების საქმეში. საკუთარი ხუთწლიანი გეგმა უკვე შევასრულე. ამჟამად ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ვანაღდებ. მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღის აღსანიშნავად კიდევ უფრო გავზრდი ჩემს ბრძოლისუნარიანობას, უფრო ნაყოფიერად და ენერგიულად ვიმუშავებ.

პ. მუხიგულაშვილი
თბილისის ავტოშემკეთებელი ქარხნის სტახანოველი ზეინკალი

ჩვენ თავისუფლების საღარაჯოზე

სამამულო ომიდან ჩვენი სამშობლო უფრო ძლიერი, უფრო მტკიცე გამოვიდა. საბჭოთა მშრომელებმა მედგარი შრომით მოიშუშეს ომით მიყენებული ჭრილობები და კიდევ უფრო საამური და ბედნიერი ცხოვრება შექმნეს.

კომუნიზმის მშენებელ ადამიანებს გვსურს საყოველთაო მშვიდობა. ჩვენ ვიბრძვით ამისათვის, რომ ჩვენი სამშობლო უფრო ძლიერი, უფრო მდიდარი გავხადოთ. ამისათვის არ ვიშურებთ ენერგიას და ვაღწევთ შრომაში უმაგალითო წარმატებას.

დიადმა სტალინურმა ეპოქამ ახალი ცხოვრება, ახალი ადამიანები შექმნა. ისინი შრომითს სასწაულებს ახდენენ სოფლად და ქალაქად, საკოლმეურნეო მინდვრებზე და საწარმოებში, მაღაროებში და რკინიგზებზე, სკოლებში, სამეცნიერო დაწესებულებებში.

ჩვენი ქვეყანა ხალხთა კეთილდღეობისათვის, შრომითი აღმავლობისათვის, საყოველთაო მშვიდობისათვის ზრუნავს და იბრძვის.

ბურჟუაზიული ქვეყნები ამერიკის შეერთებული შტატების მეთაურობით ცდილობენ მსოფლიოს კვლავ თავს მოახვიონ ახალი სისხლისმღვრელი ომი. საამისოდ ისინი მიმართავენ ათასგვარ ფანდებს, მაგრამ მსოფლიოს მოწინავე ადამიანებმა კარგად იციან იმპერიალისტთა ზრახვები. მსოფლიოს მშრომელები ერთ მუჭა მუქთახორებს უფლებას არ მისცემენ კვლავ დაღვარონ მილიონობით უდანაშაულო ადამიანთა სისხლი.

საბჭოთა კავშირი და ჩვენი მოკავშირე დემოკრატიული ქვეყნები მტკიცედ იცავენ საყოველთაო მშვიდობას, მაგრამ თუ მტერმა გაბედა და ხელი აღმართა მშვიდობის წინააღმდეგ, საბჭოთა ხალხი ერთსულოვნად აღდგება მტრის შესამუსრავად, საყოველთაო მშვიდობის დასაცავად.

თემურ თარბა
სოციალისტური შრომის გმირი, დურიფშის პრემიის სახელობის კოლმეურნეობის მერგოლური

ჩვენთვის უცხოა ომის გაჩაღების პოლიტიკა

მშვიდობისა და დემოკრატიის მტრები ქმნიან სხვადასხვა სამხედრო-პოლიტიკურ ჯგუფებს, აგებენ სამხედრო-საზღვაო და საჰაერო ბაზებს, ცდილობენ გააჩაღონ ახალი მსოფლიო ომი, ერთმანეთს წაუსისინონ ხალხები, რომლებიც ჯერ კიდევ ამას წინათ ერთიანი ფრონტით გამოდიოდნენ საერთო მტრის — ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ.

განუხორციელებელია უოლ-სტრიტისა და სიტის ამ ავაზაკთა ბოდვითი გეგმები. ომის წინააღმდეგ, მშვიდობის დასაცავად დარაზმულია მთელი მსოფლიოს მოწინავე კაცობრიობა, ასობით მილიონი მუშა და გლეხი, ფერმერი და ინტელიგენტი, რომელთა ხსოვნაში ჯერ კიდევ ცოცხლობენ ომის საშინელებანი. მშვიდობის ამ მძლავრ ფრონტს სათავეში უდგას დიდი საბჭოთა კავშირი, რომელიც მისთვის დამახასიათებელი სიმტკიცით განაგრძობს რა თავის სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებას, განუხრელად ამხილებს ამერიკისა და ინგლისის იმპერიალისტთა ბინძურ ზრახვებს, მიმართულს დემოკრატიისა და მშვიდობის წინააღმდეგ.

მრავალი წლის განმავლობაში მშვიდობისა და დემოკრატიის მტრები ახორციელებდნენ „ცივი ომისა“ და „ატომური დიპლომატიის“ პოლიტიკას, უარს ამბობდნენ ატომური ბომბის წარმოების აკრძალვაზე. ახლა, როცა მსოფლიომ გაიგო, რომ ჩვენს ქვეყანას ატომური იარაღი აქვს, კეთილშობილურად გაისმის გენერალური ასამბლეის სხდომაზე საბჭოთა წინადადება ატომური ბომბის წარმოების აკრძალვის შესახებ. ახალმა საბჭოთა სამშვიდობო წინადადებებმა ერთხელ კიდევ დაამტკიცა, რომ ჩვენ ძლიერნი ვართ, არავისი გვეშინია, მაგრამ ჩვენთვის უცხოა ომის გაჩაღების პოლიტიკა, რომ ჩვენი ქვეყანა მტკიცედ დგას მშვიდობის სადარაჯოზე.

ჩვენ — საბჭოთა ხალხს არ გვინდა ომი, ჩვენ გვსურს განვაგრძოთ ჩვენი მშვიდობიანი შემოქმედებითი შრომა, ახალი ფაბრიკების, ქარხნების, ინსტიტუტების, სკოლების, კლუბების, თეატრების აგება, განვაგრძოთ თავდადებული შრომა საყვარელი სოციალისტური სახელმწიფოს შემდგომი გაძლიერებისა და აყვავებისათვის.

მთელი მსოფლიოს პროგრესული ძალები ახალი ომის წინააღმდეგნი არიან. მათ მშვიდობა და თავისუფლება სურთ. უფრო მჭიდროდ შეეკავშირდეთ, გავაერთიანოთ მთელი ჩვენი ძალები და შეუპოვარი ბრძოლა ვაწარმოოთ ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ.

გიორგი ხომასურიძე
ინჟინერი, თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის სამლებრო-საგამმყვანო საამქროს უფროსი

სსრ კავშირის ახალი წვლილი საერთაშორისო მშვიდობის განმტკიცების საქმეში

2 ოქტომბერს მსოფლიოს ყველა ქვეყანაში ტარდება მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღე. ამ დღისათვის მზადების პროცესში მონაწილეობდნენ ორივე ნახევარსფეროს ასეულ მილიონობით უბრალო ადამიანები და პრაქტიკულად ახორციელებდნენ მშვიდობის მომხრეთა პარიზში შემდგარი მსოფლიო კონგრესის მიერ გამოცხადებულ ლოზუნგს: „მშვიდობის დაცვა მსოფლიოს ყველა ხალხთა საქმეა!“ პატიოსანი მშრომელნი ყველა კონტინენტზე ირაზმებიან და ერთიანდებიან, რათა დაიცვან მშვიდობა, დაიცვან თავიანთი სიცოცხლე და თავიანთი შვილების სიცოცხლე, ჩაშალონ მსოფლიო ბატონობის ახალი პრეტენდენტების დანაშაულებრივი ზრახვები. მშვიდობის დამცველთა ძალების ამ კონსოლიდაციამ განსაკუთრებით ფართო მასშტაბი მიიღო მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღისათვის მზადების დროს.

საფრანგეთში ომის მოწინააღმდეგეებმა მოაწყეს საყოველთაო-სახალხო ხმის მიცემა მშვიდობისათვის. ჩიკაგოში და ამერიკის შეერთებული შტატების სხვა ქალაქებში მშვიდობის დღისათვის და მშვიდობის დასაცავად 1-2 ოქტომბერს მოწვეული სრულიად ამერიკის პროფკავშირული კონფერენციისათვის მოსამზადებლად ჩატარდა მრავალი კრება და მიტინგი, რომელთა მონაწილეებმაც გადამწყვეტი პროტესტი განაცხადეს ახალი ომის მომზადების პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელსაც ახორციელებს იმპერიალისტების ბანაკი შეერთებული შტატების მმართველი წრეების მეთაურობით. ასეთივე პროტესტები განაცხადეს პროგრესული საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა და უბრალო ადამიანებმა ლონდონსა და სიდნეიში, კაიროსა და ბომბეიში, სტოკჰოლმსა და რომში, რიო-დე-ჟანეიროსა და ოტავაში.

კიდევ უფრო ფართოდ გაჩაღდა მშვიდობისათვის ბრძოლა სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, სადაც, ისევე როგორც საბჭოთა კავშირში, ეს ბრძოლა გახდა არა მარტო საზოგადოებრივი, არამედ სახელმწიფოებრივი საქმეც. ამ ქვეყნების მთელი ცხოვრება — მათი შემოქმედებითი შრომა, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობა, მეცნიერების, კულტურისა და ხელოვნების პროგრესი — ყველაფერი ემსახურება უწინარეს ყოვლისა მშვიდობისა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფას. მუშები, გლეხები და მშრომელი ინტელიგენცია რუმინეთსა და პოლონეთში, უნგრეთსა და ჩეხოსლოვაკიაში, ალბანეთსა და ბულგარეთში თავიანთი პრაქტიკული საქმეებით განამტკიცებენ საერთაშორისო მშვიდობას, ამავე დროს ფხიზლად ადევნებენ თვალყურს ომის გამჩაღებელთა ოინებს და აუვნებლებენ მათ. ამ შემთხვევაში უდიდეს როლს ასრულებს უნგრეთში რაიკისა და მის თანამონაწილეთა ფაშისტურ-ტროცკისტული ბანდის მხილება.

მშვიდობისა და დემოკრატიის ბანაკი მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეს ეგებება ორგანიზებული და იმ მტკიცე გადაწყვეტილებით აღსავსე, რომ განაგრძოს და განავითაროს თავისი კეთილშობილური საქმე.

მშვიდობის საქმისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვთ იმ წინადადებებს, რაც საბჭოთა დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ შეიტანა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე, რომელიც 20 სექტემბერს ნიუ-იორკში გაიხსნა. ეს წინადადებანი, რომლებიც ითვალისწინებენ, როგორც ცნობილია, ახალი მსოფლიო ომის მომზადებ ს დაგმობას, ატომური ბომბის აკრძალვას და ატომის ენერგიისადმი ქმედითი საერთაშორისო კონტროლის დაწესებას, აგრეთვე ხუთი დიდი სახელმწიფოს მიერ მშვიდობის განმტკიცების პაქტის დადებას, წარმოადგენენ საერთაშორისო მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის ბრძოლის საქმეში ჩვენი სოციალისტური სამშობლოს მიერ შეტანილ უდიდეს წვლილს.

საბჭოთა კავშირი უცვლელად და თანმიმდევრულად ახორციელებს მშვიდობის პოლიტიკას. საბჭოთა წინადადებებმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე ერთხელ კიდევ ცხადყვეს, რომ საბჭოთა მთავრობა კვლავ დგას მშვიდობისმოყვარე ხალხებს შორის თანამშრომლობის თავის წინანდელ პოზიციებზე. „ჩვენი საგარეო პოლიტიკა ნათელია, — აღნიშნავდა ამხანაგი ი. ბ. სტალინი ჯერ კიდევ 1934 წელს,—იგი არის მშვიდობის შენარჩუნებისა და ყველა ქვეყანასთან სავაჭრო ურთიერთობის გაძლიერების პოლიტიკა. სსრ კავშირს აზრად არა აქვს დაემუქროს ვისმე და—მით უმეტეს — თავს დაესხას ვისმე. ჩვენ მხარს ვუჭერთ მშვიდობას და ვიცავთ მშვიდობის საქმეს. მაგრამ ჩვენ არ გვეშინია მუქარისა და მზადა ვართ დარტყმით ვუპასუხოთ ომის გამჩაღებლების დარტყმას“.

დიდი ბელადის ეს განცხადება მუდამ განსაზღვრავდა და განსაზღვრავს სსრ კავშირის საერთაშორისო პოლიტიკას. იგივე პრინციპი უდევს საფუძვლად საბჭოთა კავშირის მიერ გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე შეტანილ წინადადებებს. იცავს რა მშვიდობას და მთელი მშვიდობისმოყვარე კაცობრიობის საარსებო ინტერესებს, საბჭოთა კავშირი მოუწოდებს დაგმობილ იქნას ახალი მსოფლიო ომისათვის მზადება, რაც ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ინგლისში წარმოებს, აიკრძალოს ატომური იარაღი, დაიდოს მშვიდობის განმტკიცების პაქტი შეერთებულ შტატებსა, დიდ ბრიტანეთსა, საფრანგეთსა, ჩინეთსა და საბჭოთა კავშირს შორის. საბჭოთა კავშირის ამ კეთილშობილურმა მოწოდებამ ყველა ქვეყანაში გამოიწვია უბრალო ადამიანების მხურვალე მოწონება და მადლობა. მტკიცე მშვიდობისა და ხალხთა უშიშროებისათვის მებრძოლნი საბჭოთა წინადადებებს განიხილავენ, როგორც ახალი მსოფლიო ომის გამჩაღებელთა ავანტიურისტული პოლიტიკის წინააღმდეგ ეფექტიანი ბრძოლის უმნიშვნელოვანეს პირობას.

„მთელი პროგრესული კაცობრიობა, — წერს ბულგარული გაზეთი „რაბოტნიჩესკო დელო“, — აღტაცებულია საბჭოთა წინადადებებით მშვიდობის უზრუნველყოფის შესახებ. ეს წინადადებანი წარმოადგენენ ომის გამჩაღებლებისათვის ახალი ლახვრის ჩაცემას, მშვიდობისათვის ბრძოლაში შეტანილ ახალ წვლილს. ამიტომ გასაგებია, რომ ომის გამჩაღებლები ამ წინადადებებს გაბოროტებული ხვდებიან. მაგრამ სამაგიეროდ მთელი მსოფლიოს ხალხები, მათ შორის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის მშრომელები, იწონებენ ამ წინადადებებს. ორ ოქტომბერს, მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეს, მშრომელნი მთელ მსოფლიოში გამოთქვამენ თავიანთ სოლიდარობას საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარული პოლიტიკისადმი, თავიანთ უსაზღვრო სიყვარულსა და მადლობას სსრ კავშირისადმი — ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების მძლავრი გუშაგისადმი“. ასეთსავე განცხადებებს აკეთებენ მშრომელები და დემოკრატიული საზოგადოებრიობის წარმომადგენლები ყველა ქვეყანაში. მშვიდობისათვის ბრძოლის საერთაშორისო დღეს ისინი კიდევ უფრო მჭიდროდ დარაზმავენ თავიანთ რიგებს საბჭოთა წინადადებების გარშემო, რომლებიც ემსახურებიან მშვიდობის ნამდვილი განმტკიცების მიზნებს, და კიდევ უფრო ხმამაღლა და მტკიცედ განაცხადებენ თავიანთ პროტესტს იმათი კაცთმოძულეობითი მისწრაფებების წინააღმდეგ, ვისაც სურს ახალი სისხლისმღვრელი ომის უფსკრულში გადაჩეხოს ხალხი.

პ. რისაკოვი

ჩავშალოთ იმპერიალისტთა ზრახვები

ჩვენი ქვეყანა მტკიცედ და იმედიანად მიდის წინ შემდგომი გაფურჩქვნისა და აყვავებისაკენ, კომუნიზმისაკენ. ყოველ დღეს, ყოველ საათს ჩვენში მოაქვს ახალ-ახალი სერიოზული წარმატება მრეწველობაში, ტრანსპორტზე, სოფლის მეურნეობაში, ქვეყნის მშენებლობის ყველა დარგში. შენდება ახალი ფაბრიკები,- ქარხნები, შახტები, მაღაროები, იზრდებიან და მტკიცდებიან კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები, ჩქარი ტემპით ვითარდება სოფლის მეურნეობის ყველა დარგი, იზრდება ქვეყნის დოვლათი.

საბჭოთა კავშირის ხალხები ცხოვრობენ სოციალისტურ სამშობლოში, თავისუფალნი და ბედნიერნი. საბჭოთა ქვეყანა ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით იცავს სამართლიანობას და მშრომელთა კეთილდღეობას. იგი იყო, არის და მუდამ იქნება ხალხთა მშვიდობის, მეგობრობისა და კეთილდღეობისათვის ბრძოლის ავანგარდში. ჩვენს ქვეყანას არ სურს იცხოვროს იმპერიალიზმის უღელქვეშ, ემსახუროს კაცობრიობის მოსისხლე მტრებს.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირის, დემოკრატიული ქვეყნების და საერთოდ მთელი პროგრესული კაცობრიობის წინააღმდეგ მზადდება ახალი იმპერიალისტური ომი, კარგად გვესმის ყველა პატიოსანი ადამიანის გადაუდებელი ამოცანა — ჩავშალოთ იმპერიალისტების ზრახვები—ამ აზრით არიან მთელ ხალხთან ერთად მტკიცედ დარაზმულნი საბჭოთა მეცნიერები.

კაპიტალიზმი მეცნიერებას თავისი ბატონობის განმტკიცებისა და გაძლიერებისათვის, ხალხის ჩაგვრისა და ექსპლოატაციისათვის, საკუთარი მოგებისა და გამდიდრებისათვის იყენებს, საბჭოთა მეცნიერება კი მხოლოდ მშრომელებს, მის ბედნიერ მომავალს ემსახურება. ამ საპატიო და სერიოზულ ამოცანას მთელი ჩვენი არსებით და შეძლებით მოვემსახურებით.

ჩვენ, მეცნიერების მუშაკებმა, კარგად ვიცით სოციალიზმის ფასი. მხოლოდ სოციალიზმის ეპოქაში აქვს მეცნიერებას ნამდვილი განვითარების საშუალება. ჩვენ ფხიზლად ვადევნებთ თვალყურს ომის ახალ გამჩაღებელთა მაქინაციებს. გამსჭვალული ვართ ერთი გრძნობითა და გადაწყვეტილებით —მთელი ძალები მოვახმაროთ ახალი ომის გამჩაღებელთა წინააღმდეგ ბრძოლას. დავიცვათ მშვიდობისა და დემოკრატიის საქმე.

ექსპლოატაცია, უმუშევრობა, კრიზისი — აი რას უწყობს ხელს კაპიტალიზმის განკარგულებაში არსებული მეცნიერება, ჩვენი ქვეყნის მეცნიერება კი კაცობრიობის წინსვლისა და ბედნიერი მომავლის ჩირაღდანია.

იმპერიალისტები, ომის ამერიკელი გამჩაღებლები მშრომელთა სიცოცხლეს ემუქრებიან, სურთ მილიონობით ადამიანები კვლავ ბომბებისა და ზარბაზნების მსხვერპლად აქციონ, ცეცხლითა და შიმშილით აღგავონ ქალაქები და სოფლები.

ამას ვერ მოესწრებიან! ბნელეთის შავ ძალებს სიცოცხლე არ უწერიათ. საბჭოთა კავშირი იმდენად დიდი, მტკიცე, მძლავრი და ორგანიზებული ქვეყანაა, რომ მას არავითარი მუქარისა არ ეშინია.

მშვიდობის ბანაკი უზრუნველყოფს ომის გამჩაღებელთა ყველა გამოხდომის გაცამტვერებას.

აკადემიკოსი ტ. კვარაცხელია

ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡ ᲥᲡᲔᲚᲨᲘ

★ ★ ★

ᲬᲠᲔᲔᲑᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ ᲨᲔᲣᲓᲒᲜᲔᲜ

თბილისის სტალინის რაიონში ორი ათასამდე კომუნისტი დამოუკიდებლად იმაღლებს იდეურ-პოლიტიკურ დონეს. ამასთან კომუნისტების მნიშვნელოვანმა რაოდენობამ წრეებში გაერთიანების სურვილი გამოთქვა. ასეთი ამხანაგებისათვის მიმდინარე სასწავლო წელს შეიქმნა სხვადასხვა ტიპის წრეები, რომელთა შორის 57 პარტიის ისტორიის „მოკლე კურსის“ შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრეა 1.387 მსმენელით, ხუთი მაღალი ტიპისა — 104 მსმენელით, 17 პოლიტსკოლაში 380 მსმენელია გაერთიანებული, ხოლო 1.050 კაცი ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიებს შეისწავლის.

პროპაგანდისტთა სემინარებმა აგვისტოდან დაიწყეს მუშაობა. პროპაგანდისტები სათანადოდ მოემზადნენ სამი თემისათვის. პარტიული განათლების ქსელი უზრუნველყოფილია სასწავლო გეგმებით და სათანადო სახელმძღვანელოებით. გუშინ, 1 ოქტომბერს რაიონის მრავალმა წრემ ძირითადად ორგანიზებულად დაიწყო მუშაობა.

ტრამვაისა და ტროლეიბუსის სამმართველოს პირველად პარტიულ ორგანიზაციაში თერთმეტი წრე და პოლიტსკოლა შეუდგა მუშაობას. ამათგან სამი საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრეა, ორი — მაღალი ტიპისა, სამი — პოლიტსკოლა და სამი — ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრე.

სრულ 5 საათზე შეიკრიბნენ პარტიის ისტორიის შემსწავლელი ძირითადი ტიპის წრის მსმენელები. პროპაგანდისტი გ. როხვაძე ამოწმებს მსმენელთა დასწრებას. სიაში 16 მსმენელია. მათგან 12 ამხანაგი უზის სამეცადინო მაგიდას. გამოირკვა, რომ სამი ამხანაგი საპატიო მიზეზით ვერ დაესწრო, ხოლო ნიკურაძემ არასაპატიო მიზეზით გააცდინა მეცადინეობა. მსმენელებს დაურიგეს რვეულები და ფანქრები. პროპაგანდისტმა გააცნო მათ მომავალი სასწავლო წლის სამუშაო გეგმა, მოაგონა, რომ გასული წელი წარმატებით დაამთავრეს.

— მაგრამ მიმდინარე წელს, — განაცხადა მან, — მეტი მონდომებით უნდა შევუდგეთ მეცადინეობას, დიდი ადგილი უნდა დავუთმოთ წიგნზე მუშაობას და უკონსპექტოდ არ გამოვცხადდეთ მეცადინეობაზე. მსმენელმა, ამწყობი საამქროს ოსტატმა ამხ. არაბიძემ მოითხოვა ახალი მასალის გავლის პარალელურად გაიმეორონ გასულ წელს შესწავლილი თემებიც.

ორგანიზაციულ და მეთოდურ საკითხებზე საუბრის შემდეგ პროპაგანდისტმა დაიწყო მასალის გადაცემა. მან მსმენელებს მოაგონა საკავშირო საკითხები გავლილი მე-8 თემიდან და შეუდგა სახალხო მეურნეობის აღდგენისათვის მშვიდობიან მუშაობაზე გადასვლის პერიოდში ბოლშევიკური პარტიის მოღვაწეობის გაშუქებას. პროპაგანდისტმა მოუთხრო დამსწრეთ აღდგენითი პერიოდის სიძნელეებზე უცხოეთის სამხედრო ინტერვენციისა და სამოქალაქო ომის შემდგომ პერიოდში, ტროცკისტული ოპოზიციის მოღალატური მოქმედების შესახებ, იგი შეეხო ბოლშევიკების პარტიის მეათე ყრილობას, ახალი ეკონომიური პოლიტიკის შემოღების საკითხს.

მსმენელები ინტერესით უსმენდნენ პროპაგანდისტს, აქტივობას იჩენდნენ შეკითხვებით.

პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში, სადაც პროპაგანდისტია ამხ. ალ. ქაჯაია, 22 მსმენელიდან მეცადინეობას დაესწრო 16. არასაპატიო მიზეზით მეცადინეობა გააცდინეს ა. შინგაზრდილოვმა, ვ. ზოტინმა და ა. ჩუიკოვმა. აღსანიშნავია მსმენელთა აქტივობა ამ წრეში. მათ მოითხოვეს ყოველი თემის შესწავლისას დაათვალიერონ ლენინის მუზეუმის თბილისის ფილიალი, რადგან,—განაცხადეს მათ, —თემატურმა ექსკურსიებმა გასულ წელს დიდი დახმარება გაუწია მსმენელებს. ეს წრეც მე-9 თემიდან განაგრძობს მეცადინეობას.

შედარებით ორგანიზებულად ჩატარდა პირველი შეკრება იმ წრეშიც, სადაც პროპაგანდისტია ამხ. დავიდოვი.

სამეცადინო ოთახებში საკმარისად არის მაგიდები და სკამები, კედლებზე გაკრულია რუკები, მაგიდებზე აწყვია რვეულები და ფანქრები.

მიუხედავად წინასწარ ჩატარებული ორგანიზაციული მუშაობისა, მეცადინეობის პირველ დღეს დამფრთხალია სერიოზული ნაკლოვანებანიც. ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელი წრე პროპაგანდისტის გამოუცხადებლობის გამო შეუერთეს პოლიტსკოლას, რომელსაც ამხ. თოდრია ხელმძღვანელობს. ცხადია, ეს „შეერთება“ ყოვლად გაუმართლებელია, ვინაიდან პოლიტსკოლის პროგრამა განსხვავდება ბიოგრაფიების შემსწავლელი წრის პროგრამისაგან. ოთახი, სადაც მეცადინეობა მიმდინარეობდა, გაჭედილი იყო მსმენელებით. ნაწილი ფეხზე იდგა.

გამოირკვა, რომ დაკომპლექტებაში დამშვებულია არასიზუსტე. მაგალითად, ყოფილი პედაგოგი ი. ზელენინა გასულ წელს პოლიტსკოლაში სწავლობდა. მას უნდოდა ამ წლიდან ყოფილიყო პარტიის ისტორიის შემსწავლელ წრეში. პროპაგანდისტმა ს. მეგენეიშვილმა საამისოდ კარგი დახასიათება მისცა მას. ეს დასკვნა პარტიული ორგანიზაციისთვისაც ცნობილი იყო. მიუხედავად ამისა, ამხ. ი. ზელენინა ლენინისა და სტალინის ბიოგრაფიების შემსწავლელ წრეში ჩარიცხეს.

ტრამვაი-ტროლეიბუსის სამმართველოს პარტიულმა ორგანიზაციამ სწრაფად უნდა გამოასწოროს აღნიშნული ნაკლოვანებანი.

ე. ᲮᲣᲜᲓᲐᲫᲔ

ᲐᲜᲓᲠᲘᲐ ᲠᲐᲖᲛᲐᲫᲔ

ოცმა წელმა განვლო გამოჩენილი ქართველი მეცნიერის ანდრია რაზმაძის გარდაცვალებიდან. ა. რაზმაძე იყო თბილისის სტალინის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი და მისი პირველი მოღვაწეთაგანი. მან მტკიცე საფუძველი ჩაუყარა ქართველ მათემატიკოსთა კადრების აღზრდას, დაამკვიდრა თანამედროვე მათემატიკური კვლევა-ძიების ტრადიციები და სტილი.

ანდრია რაზმაძემ მათემატიკური განათლება მოსკოვის უნივერსიტეტში მიიღო. მან შეითვისა რუსეთის მათემატიკური კულტურის ცხოველმყოფელი ძალა და ტრადიციები, რამაც წარუშლელი კვალი დატოვა მთელ მის შემდგომ მეცნიერულ მუშაობაში. ა. რაზმაძე ნათლად ითვალისწინებდა იმ უდიდეს მნიშვნელობას, რაც რუსულ კულტურას, მეცნიერებასა და ხელოვნებას აქვს თანამედროვე ქართველი ადამიანის შეგნების ფორმირებისათვის.

ანდრია რაზმაძე არ იყო ჩაკეტილი ვიწრო მეცნიერულ ნაკუწში. ის კარგად ხედავდა მეცნიერების კავშირს ცხოვრების სხვა მხარეებთან და მის დიდ სოციალურ ღირებულებას. მისი, როგორც სპეციალისტის, მოღვაწეობაში ამავე დროს ნათლად ჩანდა ზოგადი სახე მეცნიერი-მოქალაქისა, რომელიც თავის მუშაობას განუყრელად უკავშირებდა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის საქმეს.

ა. რაზმაძის მეცნიერული კვლევა-ძიება უმთავრესად ეხება ვარიაციათა აღრიცხვას, რომელიც თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დარგია. ძირითადი გეზი მისი გამოკვლევებისა მიმართულია ვარიაციათა აღრიცხვის პრობლემატიკის გავრცელებისაკენ ფუნქციათა უფრო ფართო კლასებზე, ვიდრე ეს მანამდე იყო ცნობილი. ამ მხრივ მეტად მნიშვნელოვანია მის მიერ შექმნილი წყვეტილ ექსტრემალთა თეორია, რომელშიც ვარიაციათა აღრიცხვის პრობლემა გავრცელებულია მარტივი ხასიათის წყვეტილ მრუდეებზე და რომლითაც ვარიაციათა აღრიცხვა პირველად გამოყვანილია წყვეტილ ფუნქციათა ფართო ასპარეზზე. თავისი სტილით ა. რაზმაძის შრომები ახლოს დგას კლასიკური ხასიათის კვლევა-ძიებასთან ვარიაციათა აღრიცხვაში. ა. რაზმაძე დიდი შემოქმედებითი გაქანების მეცნიერი იყო, დაჯილდოებული ცოცხალი მათემატიკური წარმოდგენით და მათემატიკური კონსტრუირების მახვილი უნარით.

ა. რაზმაძე სამართლიანადაა აღიარებული თანამედროვე მათემატიკის ერთ-ერთ გამოჩენილ მოღვაწედ. მისი გამოკვლევები ფართოდაა ცნობილი მათემატიკოსთა წრეში და ხშირად იხსენიება სპეციალურ ლიტერატურაში.

ა. რაზმაძის მეცნიერულ მუშაობას ახასიათებს იშვიათი მეთოდურობა და სისტემატურობა. ის ამ მუშაობას მტკიცე გეგმის მიხედვით აწარმოებს. ა. რაზმაძის მთელ მეცნიერულ მუშაობას აჩნევია მისი ძლიერი ნებისყოფის დაღი, ის ყოველთვის მტკიცედ და შეუღრეკლად იბრძოდა მეცნიერული მუშაობის მაღალი დონის დაცვისათვის.

ანდრია რაზმაძეს პირველს მოუხდა თანამედროვე მათემატიკური მეცნიერების ამეტყველება ქართულ ენაზე, მან ჩაუყარა საფუძველი ქართულ მათემატიკურ ტერმინოლოგიას, პირველმა გამოაქვეყნა სახელმძღვანელოები და სამეცნიერო შრომები უმაღლეს მათემატიკაში ქართულ ენაზე. არ უნდა იქნას დავიწყებული ის დიდი მუშაობაც, რომელიც ანდრია რაზმაძემ გასწია იმისათვის რომ თბილისის სტამბების პირობებში შესაძლებელი გამხდარიყო რთული მათემატიკური ტექსტის ტექნიკურად სრულყოფილი წყობა. მას ჰქონდა, ჰაინეს ერთი გამოთქმის პერიფრაზირება რომ მოვახდინოთ, არა მარტო ფრთები შემოქმედებითი აღმაფრენისათვის, არამედ ძლიერი ხელებიც მეცნიერების წარმატებისათვის ხელშემწყობი პირობების შესაქმნელად.

ანდრია რაზმაძე თავის მეცნიერულ მუშაობას დიდი ტემპერამენტით და დაძაბულობით აწარმოებდა. მეცნიერული მუშაობა მისთვის არ წარმოადგენდა განყენებულ პროცესს, მისი ცხოვრების სხვა მხარეებისაგან დაშორებულს. ის ათბობდა ამ მუშაობას შემოქმედებითი განცდის დრამატიზმით.

დაუვიწყარია ანდრია რაზმაძის ფიგურა უნივერსიტეტის კათედრაზე. ლამაზი და ამასთანავე ლაკონიური მეტყველება, ყოველთვის კარგად შევსებული ფრაზის მკაფიო ლოგიკური ტონირება, შინაგანი სიხარული და საზეიმო ელფერი, რომლითაც იგი აწვდიდა აუდიტორიას მეცნიერულ სიტყვას, ამავე დროს ზომიერების უტყუარი გრძნობა—ქმნიდნენ ა. რაზმაძის, როგორც მასწავლებლის, ჭეშმარიტად მიმზიდველ სახეს. ამიტომ არის ანდრია რაზმაძის სახელი ასეთი პოპულარული ჩვენს ახალგაზრდობაში.

ანდრია რაზმაძე იყო ქართული საბჭოთა მეცნიერების ერთ-ერთი დიდი და გამოჩენილი წარმომადგენელი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, რომელიც ერთგულად ემსახურებოდა საბჭოთა ხალხს, მის შესანიშნავ აწმყოსა და მომავალს. მათემატიკური მეცნიერების განვითარების საქმეში დიდი მეცნიერის ანდრია რაზმაძის ღვაწლი არასოდეს არ იქნება დავიწყებული.

პროფესორი ლ. ᲒᲝᲙᲘᲔᲚᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘᲐ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲣᲚᲝᲑᲐ

პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის ორგანიზებულად დაწყებისათვის სერიოზული მუშაობა გასწია თბილისის ავტომემკეთებელი ქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ. ამ მუშაობას, როგორც მოსალოდნელი იყო, სასურველი შედეგიც მოჰყვა. 1 ოქტომბერს ყველა წრესა და პოლიტსკოლაში ნორმალურად დაიწყო მუშაობა. ჯერ კიდევ ადრე, სანამ მეცადინეობა დაიწყებოდა, წრეებისა და პოლიტსკოლების პროპაგანდისტები პარტბიუროს მდივანთან შეიკრიბნენ. ისინი მსჯელობდნენ მეცადინეობის ჩატარების მეთოდურ საკითხებზე, ერთმანეთს უზიარებდნენ თავიანთ მოსაზრებებს.

სრულ 5 საათზე მსმენელებმა მეცადინეობისათვის განკუთვნილ ოთახებში მოიყარეს თავი. დაიწყო მეცადინეობა. საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის შემსწავლელი იმ წრის სამეცადინო ოთახი, რომელსაც პროპაგანდისტი ა. ანთაძე ხელმძღვანელობს, კარგად არის მოწყობილი, აქ გამოფენილია რუკები, დიაგრამები, პლაკატები, ლოზუნგები. ყველა მსმენელი მომარაგებულია ლიტერატურითა და სასწავლო ხელსაწყოებით.

ორგანიზაციული საკითხების მოგვარების შემდეგ ამხ. ანთაძემ მსმენელებს გააცნო სასწავლო პროგრამა და ესაუბრა ბოლშევიზმის ისტორიისა და თეორიის მნიშვნელობაზე, მისი დაუფლების აუცილებლობაზე. მეცადინეობის დასასრულს წრის მსმენელებმა მთელი რიგი საინტერესო საკითხები დააყენეს. მათ აღნიშნეს, რომ მიმდინარე სასწავლო წელს საჭირო იქნება ხშირად მოეწყოს ექსკურსიები ისტორიული ადგილების დასათვალიერებლად, ჩატარდეს ლექციები სხვადასხვა საკითხებზე.

აღსანიშნავია, რომ ქარხნის ყველა საამქროში გამოშვებულ იქნა კედლის გაზეთების სპეციალური ნომრები, მიძღვნილი პარტიული განათლების ქსელში ახალი სასწავლო წლის დაწყებისადმი. თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია წრეებისა და პოლიტსკოლების მსმენელთა სიები, მითითებულია აგრეთვე მეცადინეობისათვის განკუთვნილი ადგილი და დრო.

ავტომემკეთებელი ქარხნის ბოლშევიკებმა ორგანიზებულად დაიწყეს ახალი სასწავლო წელი. მათი მიღწევები უფრო თვალსაჩინო იქნება, თუ კიდევ უფრო გააძლიერებენ ყურადღებას პარტიული განათლების ქსელის მუშაობისადმი.

კ. ᲘᲛᲔᲓᲐᲫᲔ

ᲠᲐᲓᲘᲝᲥᲐᲠᲮᲐᲜᲐᲨᲘ

ორგანიზებულად დაიწყო მეცადინეობა თბილისის რადიოქარხნის პარტიულ ორგანიზაციასთან შექმნილ საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის შემსწავლელ წრეებსა და პოლიტსკოლებში, რომელთა რიცხვი აქ ექვსია.

პარტბიუროს მდივანმა ამხ. კაპანაძემ დილადანვე გააფრთხილა კომუნისტები, რომ სამუშაოს დამთავრების შემდეგ, სრულ 5 საათზე შედგებოდა წრეებისა და პოლიტსკოლების მეცადინეობა.

დანიშნულ დროს პროპაგანდისტები და მსმენელები ადგილზე იყვნენ.

„საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიის მოკლე კურსის“ შემსწავლელმა ქართული წრის მსმენელებმა პარტბიუროს ოთახში მოიყარეს თავი. პროპაგანდისტმა ბ. კანდელაკმა პირველი მეცადინეობა ჩაატარა. მეცადინეობის დამთავრების შემდეგ წრის მსმენელებმა წამოაყენეს თავიანთი მოსაზრებანი და წინადადებანი, რომელთა შესრულება ხელს შეუწყობს მათ მეცადინეობის უკეთესად მოწყობაში.

მეცადინეობის პირველ დღესვე გამომჟღავნდა, რომ ქარხნის პარტიული ორგანიზაცია თავიდანვე პასუხისმგებლობით მოეკიდა ახალი სასწავლო წლისათვის მზადებას. მეცადინეობა უმიზეზოდ ამ ქარხნის არც ერთ კომუნისტს არ გაუცდენია. ყველანი დროზე გამოცხადდნენ. სამეცადინო ოთახები სრულ წესრიგზეა, უზრუნველყოფილია გათბობითა და განათებით. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ 8 კომუნისტიდან, რომლებიც არტელ „პრომტექსტილის“ პარტიული ორგანიზაციიდან ამ წრეში არიან გაერთიანებულნი, სამი კომუნისტი — გამყრელიძე, ნემსაძე და გვარამაძე მეცადინეობაზე არ გამოცხადდა, ეს მოწმობს, რომ აღნიშნული არტელის პარტიული ორგანიზაცია სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა ამ უმნიშვნელოვანეს საქმეს. აღსანიშნავია ისიც, რომ ამ წრის სამეცადინოდ პატარა ოთახი შეურჩევიათ, რაც გარკვეულ დაბრკოლებას შექმნის ნორმალური მუშაობისათვის. რადიოქარხნის პარტიულმა ორგანიზაციამ ეს საკითხი ახლავე უნდა მოაგვაროს.

მ. ᲕᲐᲠᲓᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲛᲝᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲒᲔᲜᲔᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲐᲡᲐᲛᲑᲚᲔᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲨᲘ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 29 სექტემბერი. (საკუთარი): გუშინ პოლიტიკური კომიტეტი შეუდგა თავისი დღის წესრიგის პირველი საკითხის — ეგრეთ წოდებული „ბალკანეთის კომისიის“ მოხსენების განხილვას. ამ საკითხს, რომელსაც აქვს მყვირალა სახელწოდება — „საბერძნეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის შექმნილი საფრთხის შესახებ“, უკვე სამი წელიწადია იყენებენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში საერთაშორისო თანამშრომლობის მოწინააღმდეგენი, რომლებსაც მეთაურობენ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი, იმისათვის, რომ მიჩქმალონ საბერძნეთში ინგლისის პოლიტიკის ჩაფუშვა და ყურადღება ჩამოაშორონ ამერიკის შეერთებული შტატების მხრივ საბერძნეთის საშინაო საქმეებში უხეშ ჩარევას.

გენერალური ასამბლეის მეორე სესიაზე სსრ კავშირისა და სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დელეგაციებმა გამოაამჟღავნეს იმ ხმაურის ნამდვილი არსი, რაც გენერალურ ასამბლეაში საბერძნეთის საკითხის გარშემო ატეხეს ამერიკისა და ინგლისის დელეგაციებმა, და აღნიშნეს, რომ საბერძნეთის დამოუკიდებლობასა და მთლიანობას საფრთხეს უქმნიან არა საბერძნეთის ჩრდილოეთი მეზობლები, არამედ შეერთებული შტატები და ინგლისი, რომლებმაც საბერძნეთი დაიმორჩილეს სამხედრო და პოლიტიკური მხრივ და თავიანთ ბაზად იყენებენ მას.

ინგლის-ამერიკის ბლოკის დელეგაციები იძულებული გახდნენ მოეხსნათ საბერძნეთის ჩრდილოეთი მეზობლების წინააღმდეგ მათ მიერ წაყენებული პირდაპირი ბრალდებანი. მაგრამ მათ მოახერხეს გაეყვანათ გადაწყვეტილება ეგრეთ წოდებული „ბალკანეთის კომისიის“ შექმნის შესახებ, რომელმაც ბალკანეთში „მოდარაჯე ქოფაკის“ სახელწოდება მიიღო.

საბჭოთა დელეგაციამ გენერალური ასამბლეის მესამე სესიაზე შეიტანა ფართო პროგრამა, რომელიც მიმართულია, ერთი მხრივ საბერძნეთისა და მეორე მხრივ ბულგარეთისა და ალბანეთს შორის ურთიერთობის მოწესრიგებისაკენ.

სსრ კავშირის დელეგაციის წინადადება „ბალკანეთის კომისიის“ დაშლის შესახებ გენერალურმა ასამბლეამ არ მიიღო ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის პოზიციის შედეგად, რომლებიც დაინტერესებული არ არიან საბერძნეთის საკითხის შეთანხმებული და სამართლიანი გადაჭრით. ამ დელეგაციების ზეგავლენით ასამბლეის უმეტესობამ დაადგინა გაგრძელდეს ამ უსარგებლო და მავნე კომისიის საქმიანობა.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ბალკანეთის კომისიას“ ამჯერადაც არაფერი გაუკეთებია იმისათვის, რომ პატიოსნად და ობიექტურად გარკვეულიყო საბერძნეთში შექმნილი მდგომარეობაში და ეპოვნა საბერძნეთში სამოქალაქო ომი“ ნამდვილი ინგლისელ-ამერიკელი დამნაშავენი.

ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ 27 სექტემბერს ამერიკელ ქალთა დელეგაციამ, რომლებიც შედიან პროგრესულ ორგანიზაციაში — „ამერიკელ ქალთა კონგრესში“, ამ კონგრესის თავმჯდომარის მოურიელ დრეიპერის მეთაურობით გაერთიანებული ერების ორგანიზაციას მიმართა პროტესტით მონარქისტ-ფაშისტ ხელისუფალთა მიერ ბერძნი დემოკრატების მასობრივად სიკვდილით დასჯის წინააღმდეგ. დელეგაციამ გამოაქვეყნა სპეციალური განცხადება, რომლითაც იგი მოითხოვს შეწყდეს მონარქისტულ-ფაშისტური ტერორი საბერძნეთში და გაუქმდეს სასიკვდილო განაჩენი, რაც სამხედრო სასამართლომ პირეფში გამოუტანა საბერძნეთში ქალთა დემოკრატიული მოძრაობის გამოჩენილ ხელმძღვანელს ეკატერინე ზევგოსს. ამერიკელ ქალთა კონგრესი თავის განცხადებაში აღნიშნავს, რომ სამი წლის მანძილზე ათენის მთავრობამ სიკვდილით დასაჯა 4.711 დემოკრატი, და მოითხოვს სიკვდილით დასჯის შეწყვეტას და ეკატერინე ზევგოსის გადარჩენას.

გუშინდელი სხდომის დასაწყისში სიტყვა აიღო ავსტრალიის დელეგაციის წარმომადგენელმა მეიერნმა, რომელმაც მოუწოდა კომიტეტს — თავი შეიკავოს საბერძნეთის საკითხის არსებითად განხილვისაგან, და შეიტანა რეზოლუცია, რომელიც წინადადებას იძლევა შეიქმნას „შემარიგებელი კომისია“ იმისათვის, რომ განიხილოს, ერთი მხრივ საბერძნეთსა და მეორე მხრივ ალბანეთსა და ბულგარეთს შორის „არსებული უთანხმოების გადასაჭრელი მეთოდები და პროცედურები“.

ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელმა კოენმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატები მხარს უჭერენ ამ წინადადებას. მაგრამ გაიმეორა ჭორების „მშვიდობისათვის საფრთხის“ შესახებ, რომელიც თითქოს შეიქმნა საბერძნეთში სამოქალაქო ომთან დაკავშირებით, თუმცა განაცხადა, რომ ეს „საფრთხე“ მნიშვნელოვნად შემცირდა.

პოლონეთის წარმომადგენელმა კაცუსუბამ შეიტანა რეზოლუცია, რომელიც მოითხოვს, რომ საბერძნეთის ხელისუფლებამ შეწყვიტონ საკვდილით დასჯა და სამხედრო-საველე სასამართლოების მოქმედება პოლიტიკურ პატიმართა წინააღმდეგ და გაუქმონ ეკატერინე ზევგოსისათვის გამოტანილი სასიკვდილო განაჩენი.

ბელორუსიის სსრ წარმომადგენელმა კისელიოვამ მხარი დაუჭირა პოლონეთის წარმომადგენლის წინადადებას. მან განაცხადა, რომ პოლიტიკური ტერორი, რასაც ათენის მთავრობა ახორციელებს, ხელს ვერ შეუწყობს საბერძნეთის საკითხის გადაჭრას, რისკენაც უნდა მიისწრაფოდეს პოლიტიკური კომიტეტი.

ლიბერიის წარმომადგენელი გამოვიდა პოლონეთის წინადადების წინააღმდეგ.

ინგლისის დელეგატმა მაკნეილმა განაცხადა, რომ მხარს უჭერს ავსტრალიის წინადადებას. მაგრამ იგი ამტკიცებდა, რომ საბერძნეთსა და ალბანეთს შორის თითქოს არსებობს რაღაც „ტერიტორიული უთანხმოებანი“ და ამ „უთანხმოებათა“ სახით მხედველობაში ჰქონდა, ამჯერად ათენის მთავრობის პრეტენზია ალბანეთის ტერიტორიის მიმართ, მაკნეილმა გაილაშქრა პოლონეთის წინადადების წინააღმდეგ, რომ საბერძნეთის ხელისუფლებმა შეწყვიტონ ტერორი და ბერძენი დემოკრატების სიკვდილით დასჯა. იგი ამტკიცებდა, რომ ადგილობრივი ხელისუფლებისათვის ასეთი წინადადების მიცემა თითქოს „საშინაო საქმეებში ჩარევა“ იქნებოდა.

სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ ავსტრალიის რეზოლუციის საკითხში საბჭოთა დელეგაციის პოზიცია ისეთივეა, როგორც სხვა მსგავსი წინადადებების მიმართ, რომლებიც შემოტანილი იყო გენერალური ასამბლეის წინანდელ სესიებზე.

„ჩვენ უნდა შევიმოწმოთ, — თქვა ვიშინსკიმ, — ყველა მხარე ამ წინადადებისა საკითხის მშვიდობიანად გადაჭრის შესახებ, რამდენადაც ასეთი წინადადება წარმოადგენს დიდი მნიშვნელობის მქონე ამოცანას. საჭიროა გულდასმით აიწონ-დაწონოთ ამ ამოცანის ყველა მხარე, უფრო ზუსტად გულდასმით მოვამზადოთ კონსულტაციები, რომელთა წინაშე დასახული იქნება უფრო ზუსტად სერიოზული ამოცანა“.

ა. ი. ვიშინსკიმ აღნიშნა, რომ პოლონეთის წარმომადგენლის წინადადება, დამყარებული პროცედურის წესების 109-ე მუხლზე, რომ დელეგაციებს მიეცეთ შესაძლებლობა შეისწავლონ ავსტრალიის რეზოლუცია, საკმაოდ კანონიერი და დასაბუთებულია და კომიტეტმა უნდა მიიღოს.

შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საბჭოთა დელეგაცია მხურვალედ დაუჭერს მხარს პოლონეთის დელეგაციის ჰუმანურ მოწოდებას, რაც მიმართულია იმისაკენ, რომ საბერძნეთში შეწყდეს სიკვდილით დასჯა დემოკრატებისა, რომლებსაც ხერეტენ იმისათვის, რომ ისინი თავიანთი დემოკრატიული, პროგრესული რწმენის ერთგული არიან. მან აღნიშნა, რომ მაკნეილის ცდა თავისი გამოსვლა პოლონეთის დელეგაციის წინადადების წინააღმდეგ მიეჩქმალა ის დამოწმებით, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება გვიკრძალავს სახელმწიფოთა საშინაო საქმეებში ჩარევას, უნიადაგო და დაუსაბუთებელია.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება, — განაგრძო ვიშინსკიმ,—მართლაც კრძალავს საშინაო საქმეებში ჩარევას, მაგრამ პოლონეთის დელეგაციის წინადადება ოდნავაც არ ეწინააღმდეგება წესდებას.

ჩვენი კომიტეტის მიმართვა, რომელიც მიზნად ისახავს იმ დემოკრატების გადარჩენას, რომლებიც თავისი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ და რომლებსაც ხერეტენ მათი დემოკრატიული რწმენისათვის, საშინაო საქმეებში ჩარევა როდია. ასეთი მოწოდება გაცილებით ძლიერი იქნებოდა ყველა ფორმალურ დაბრკოლებაზე. ეს იქნებოდა იმისადმი მოწოდება, რომ სასიკვდილო განაჩენი არ გამოუტანონ ადამიანებს, რომელთა დანაშაული ხელისუფლებისადმი ოპოზიციურ ფორმით ვლინდებოდა.

ეკატერინე ზევგოსის საქმეზე გამოტანილია არაადამიანური განაჩენი. ეს განაჩენი წარმოადგენს მართლმსაჯულების დაცინვას, სასტიკი და სრულიად გაუმართლებელი შურისძიების გამოვლინებას“.

საბჭოთა კავშირის დელეგაცია, — დაასკვნა ა. ი. ვიშინსკიმ,—ღრმად დარწმუნებულია იმაში, რომ ყველა დელეგაცია, რომლებიც ასეთ ჰუმანურ გრძნობებს იზიარებენ, მხარს დაუჭერენ პოლონეთის წინადადებას, რომ პირველმა კომიტეტმა გამოძებნოს ხერხები და საშუალებანი, რათა შეიჩერებინოს ბარბაროსული, სასტიკი და უსამართლო სიკვდილით დასჯანი, იმ ადამიანის სიკვდილით დასჯა, რომლის მთელი დანაშაულიც ის არის, რომ იგი საბერძნეთის გამოჩენილი დემოკრატიული მოღვაწის ცოლია.

პოპინელისმა (საბერძნეთი) განაცხადა, რომ მისი დელეგაცია მხარს დაუჭერს ავსტრალიის წინადადებას. მან თქვა, რომ მას შემდეგ, რაც იუგოსლავიამ თავისი საზღვარი დახურა, მას და საბერძნეთს შორის „თითქმის ნორმალური ურთიერთობა“ დამყარდა. მაგრამ საბერძნეთის წარმომადგენელმა გაიმეორა ალბანეთის წინააღმდეგ მიმართული ბრალდებანი, რომლებსაც „ბალკანეთის კომისიის“ მოხსენება შეიცავს, და განაცხადა, რომ საბერძნეთი „განაგრძობს თავის ომს“.

უკრაინის სსრ წარმომადგენელმა დ. ზ. მანუილსკიმ აღნიშნა, რომ უკრაინის სსრ დელეგაცია მხად არის მხარი დაუჭიროს ავსტრალიის წინადადებას. მაგრამ, — განაცხადა, მან, — კომიტეტში გაკეთებული იყო ბევრი ისეთი განცხადება, რომლებიც განმარტებას მოითხოვენ.

მანუილსკიმ კომიტეტის ყურადღება მიაქცია ინგლისის წარმომადგენლის მიერ გაკეთებულ განცხადებას საბერძნეთის რაღაც „ტერიტორიული პრეტენზიების შესახებ“, რომლებიც ინგლისის წარმომადგენელს ყურადღების ღირსად მიაჩნია. რა პრეტენზიებზეა ლაპარაკი? რად დასჭირდა ინგლისის წარმომადგენელს დაემოწმებინა ისინი, როცა საკითხის მშვიდობიან გადაჭრაზეა ლაპარაკი? რად შეაქნეთ ავსტრალიის წინადადების განხილვაში ეს პოლიტიკური საკითხი? ტერიტორიულ პრეტენზიებზე ასეთი ლაპარაკი იმათ ეჭვს იწვევს, ვინც მზად არის მხარი დაუჭიროს ავსტრალიის რეზოლუციას.

საბერძნეთის წარმომადგენელმა, — განაგრძო მანუილსკიმ, — ეს ეს არის დანაცხადა, „საბერძნეთმა თავისი ომი უნდა განაგრძოსო“, რა ომი? რისი გულისთვის უნდა განაგრძოს საბერძნეთმა ეს ომი?

„ბალკანეთის კომისიის“ მოხსენება შეიცავს განცხადებას, რომ პარტიზანული წინააღმდეგობა „აღმოფხვრილია“. თუ ამ განცხადებაში სიმართლის თუნდაც ნასახი მოიპოვება, მაშინრა ომზე ლაპარაკობს საბერძნეთის წარმომადგენელი? მზედველობაში ხომ არა აქვს გეგმები და ზრახვები, რომლებიც დაკავშირებულია ტერიტორიულ პრეტენზიებთან, რისადმიც ასეთი ინტერესი გამოიჩინა ინგლისის წარმომადგენელმა?

„ბალკანეთის კომისიის“ მოხსენება შეიცავს მტკიცებას, თითქოს ალბანეთი „პირველ რიგში პასუხისმგებელია იმისათვის, რომ ბალკანეთში მშვიდობას საფრთხე მოელის“. საბერძნეთის „ტერიტორიული პრეტენზიების“ შესახებ ინგლისის დელეგატის განცხადების მიხედვით მოხსენების ამ მტკიცებას მუქარის ხასიათი ეძლევა.

ამიტომ, — დაასკვნა მანუილსკიმ, — უკრაინის სსრ დელეგაცია მტკიცედ მოითხოვს, რომ ავსტრალიის წინადადება შესაფასებელ იქნას იმ განცხადებათა გათვალისწინებით, რომლებიც პოლიტიკურ კომიტეტში გაკეთდა, და მხოლოდ ამის შემდ

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეის მეოთხე სესიაზე

გენერალურ კომიტეტში

ნიუ-იორკი, 29 სექტემბერი. (საკადესი). 28 სექტემბერს გენერალურმა კომიტეტმა განიხილა გომინდანური მთავრობის წარმომადგენლის წინადადება იმის შესახებ, რომ გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ იქნას საკითხი ჩინეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის საფრთხის და შორეულ აღმოსავლეთში მშვიდობისათვის შექმნილი საფრთხის შესახებ.

პირველი გამოვიდა გომინდანის წარმომადგენელი ჩანი, რომელსაც ერთი ფაქტი ან სიტყვაც კი არ მოუყვანია, რაც გაამართლებდა წინადადებას გენერალურ ასამბლეაში ამ საკითხის განხილვის შესახებ. არ მოუყვანია რა არავითარი სიტყვა თავისი ჭორების დასამტკიცებლად, რამდენადაც ასეთი „სიტყვები“ ბუნებაში არ არსებობენ, ეს წარმომადგენელი ერთი მუჭა გაკოტრებული რეაქციონერებისა, რომელებმაც დაკარგეს თავისი ხალხის ნდობა და განდევნილი არიან ჩინეთის ტერიტორიის მეტი ნაწილის ფარგლებიდან, ამტკიცებდა, თითქოს საბჭოთა კავშირმა დაარღვია ჩინეთთან 1945 წლის 14 აგვისტოს დადებული ხელშეკრულება. მან მოითხოვა, რომ ეს გომინდანური მონაჩმახი ასამბლეის დღის წესრიგში შეეტანათ.

ამ ცილისმწამებლური მონაჩმახის წინააღმდეგ ძლიერი და კარგად დასაბუთებული სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის დელეგაციის მეთაურმა ა. ი. ვიშინსკიმ. მან აღნიშნა, რომ გომინდანური მთავრობის წარმომადგენელი, თავისი მონაჩმახის შემოტანისას, არ გაუბედავს და მის დასასაბუთებლად არ წარმოუდგენია არაერთი მოსაზრება ან ფაქტიური მასალა, რომელებიც შესაძლებლობას მისცემდნენ კომიტეტს ემსჯელნა, საჭიროა თუ არა ამგვარი პრეტენზიების განხილვა თუ მათი განხილვა საზიანო და საშიშია. გომინდანის დელეგატის მოქმედების ასეთი ხერხი მაინე და საშიშია, ვინაიდან თუ ამ ხერხს გავყვებით, მაშინ გენერალურ ასამბლეაში შეიძლება მოვიდეს ყველა, ვისაც მოეპრიანება, და რაიმე საბუთის წარმოუდგენლად ასამბლეას გაარჩევინოს ესა-თუ ქვეყნ და ცილისმწამებლური მონაჩმახი.

გომინდანის დელეგატი საერთოდ უარს ამბობს წარმოადგინოს რაიმე დამტკიცებელი საბუთი მანამდე, სანამ საკითხი შეტანილ იქნებოდეს დღის წესრიგში. მას მიაჩნია, რომ სრულიადაც მოვალე არ არის დამტკიცოს რაიმე, რომ საკმაოა წარმოადგინოს თავისი საჩივარი, თუნდაც სრულიად დაუსაბუთებლად. მაგრამ მას ავიწყდება, რომ იმყოფება გენერალურ ასამბლეაში, ასამბლეის კომიტეტში, რომელსაც, სანამ გადაწყვეტდეს — საჭიროა თუ არა დღის წესრიგში ამა თუ იმ საკითხის შეტანა, საფუძველი უნდა ჰქონდეს ასეთი გადაწყვეტილების გამოსატანად. არ შეიძლება დაეთანხმოთ გომინდანის დელეგატს მიერ წარმოდგენილ პროცედურას. ეს პროცედურა კი არა, არამედ საკითხების განხილვის რიგისადმი გონივრული და კეთილსინდისიერი დამოკიდებულების აბუჩად აგდებაა.

ა. ი. ვიშინსკიმ განაცხადა, რომ გომინდანური მონაჩმახის წარმოშობას აქვს თავისი მიზეზები, რომელებიც სურთ მიჩქმალონ, მაგრამ მათ მიჩქმალვას გომინდანური მთავრობის წარმომადგენელი ვერ შეძლებს. ეს ცილისმწამებლური გამოხდომა ნაკარნახევია ჩინელი მილიტარისტების გაკოტრებული ხროვის უაღრესად მდაბალი მისწრაფებებით, ხროვისა, რომელიც უარყო ჩინელმა ხალხმა. ჩინელი ხალხის დიდი უმრავლესობა აღარ ენდობა ამ ვაჟბატონებს და განდევნა ეს ხროვა თავისი ქვეყნის მნიშვნელოვანი ნაწილის ფარგლებიდან. ეს ვაჟბატონები ცდილობენ მიმართონ ბინძური ინსინუაციებსა და ცილისწამებას საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, ცდილობენ სხვებს გადააბრალონ თავიანთი გაკოტრება.

გომინდანური მთავრობა საბჭოთა კავშირის მიმართ თავისი პროვოკაციული განცხადებით აქ იმიტომ გამოდის, რომ ცდილობს მოატყუოს თავისი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს საზოგადოებრივი აზრი და საქმე ისე დასახოს, თითქოს მისი კრახი და გაკოტრება გამოწვეულია რაღაც გარეშე ძალებით და არა იმ ნამდვილად შინაგანი ღრმა ძალებით, რომელებმაც განაზღვრეს ჩინეთის ბედი, გომინდანელთა კრახი, ჩინელი ხალხის გამარჯვება.

გომინდანის წარმომადგენელი, განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ, ცდილობს გომინდანელი მილიტარისტების სამარცხვინო გაკოტრება მიჩქმალოს მტკიცებით, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს ერეოდა ჩინეთის საშინაო საქმეებში. მაგრამ ვინ დაიჯერებს ამგვარი მტკიცების სერიოზულობას? იმის მტკიცებას, რომ ის დიადი ისტორიული პროცესი, რომელიც ხდება გიგანტურ ქვეყანაში, სადაც თხთქმის ნახევარი მილიარდი მოსახლეობაა, შეიძლება აიხსნას რაღაც გარეშე ძალების ჩარევის გავლენით, რომელიც თითქოს გახდა იმის მიზეზი, რომ გომინდანური მთავრობა კატასტროფულ მდგომარეობაში აღმოჩნდა? განა ცხადი არ არის საკითხის ასეთი დაყენების უაზრობა?

შემდეგ სსრ კავშირის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ ამას წინათ გამოქვეყნებული „თეთრი წიგნი“, რომელიც ანალიზს უკეთებს ჩინეთში ამერიკის პოლიტიკის ჩაფუშვის მიზეზებს, ცხადყოფს, რომ მთელმა ამ დახმარებამ, ამერიკელ გადასახადის გადამხდელთა მრავალი მილიონი სახსრის ხარჯვამ სრული კრახი გამოიწვია. უდიდესმა სახსრებმა, რომლებიც ამერიკელ ხალხის ხარჯზე დაბანდებული იყო გომინდანურ „ფირმაში“, ვერ გადაარჩინა იგი სრულ გაკოტრებას.

„ფირმა“ გაკოტრდა, თუმცა ცოტა ძალა და სახსარი როდი იყო გამოყენებული იმისათვის, რომ გომინდანური მთავრობა ეხსნათ იმ განადგურებისაგან, რაც მოამზადა და განაზორციელა თვით ჩინელმა ხალხმა, რომელმაც ცხადყო თავისი ძლიერება და ეროვნული განთავისუფლების იდეისადმი დიდი ერთგულება.

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, განაგრძო ვიშინსკიმ, რომ ისეთი სრულიადაც არა სუსტი ქვეყნის ამაკარა ჩარევამაც კი, როგორიცაა ამერიკის შეერთებული შტატები მთელი თავისი მილიარდობით დოლარითა და მთელი თავისი შეიარაღებით, აგრეთვე ატომური ბომბით, რომლის მონოპოლიაც ამერიკის შეერთებულ შტატებს ხელიდან წაუცვიდათ, ვერ იხსნა სრულიად ძირგამომპალი გომინდანური რეჟიმი. რატომ? იმიტომ, რომ მოვლენებს საფუძვლად უდევს ისეთი მიზეზები, რომლებიც დამოკიდებულია არა გარეშე ძალებზე, არამედ მხოლოდ და მხოლოდ თვით ჩინეთის შინაგან ძალებზე.

ა. ი. ვიშინსკიმ მოაგონა სხდომას ამერიკის შეერთებული შტატების სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარის კონელის განცხადება, გამოქვეყნებული ამერიკული პრესის მიერ. კონელი გამოვიდა გომინდანური მთავრობისათვის შემდგომი დახმარების გაწევის წინააღმდეგ. განცხადებაში კონელმა აღნიშნა, რომ ამ მთავრობის მეთაური ყუნცულ ფორმოზაზე გაიქცა და თან წაიღო 138 მილიონი დოლარის ოქრო, რომელიც ჩინელ ხალხს ეკუთვნის.

შეიძლება ავრეთვე მოვიყვანოთ ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის აჩესონის წერილი პრეზიდენტ ტრუმენისადმი; ეს წერილი წინ უძღვის ჩინეთის შესახებ სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ გამოქვეყნებულ „თეთრ წიგნს“. ამ წერილში ნათქვამია: „ბევრი მეთვალყურის აზრით, ისინი ე. ი. მთავრობა და გომინდანი, კორუპციის გზას დაადგნენ, დაიწყეს ჩხუბი ადგილებისა და ძალაუფლებისათვის და იმედი ჰქონდათ, რომ მათ მაგიერ შეერთებული შტატები მოიგებდნენ ომს და შეუნარჩუნებდნენ ძალაუფლებას. ეს მეთვალყურენი, — ნათქვამია წერილში,—შიშობენ, რომ ნაციონალისტურ მთავრობას, რომელიც ამრიგად ეთიშება ხალხს, ძალაუფლებისათვის ბრძოლის ომისშემდგომ პერიოდში უნარი აღარ ექნება დაიცვას თავისი ავტორიტეტი“.

მე არ შევჩერდები ამ წერილის დასკვნის ნაწილზე, სადაც აწერილია ის მიზეზები, რომელთა გამოც ამერიკის შეერთებულ შტატებს შესაძლებლად და საჭიროდ მიაჩნდათ დახმარება გაეწიათ გომინდანური მთავრობისათვის, მაგრამ ნათქვამიდანაც სრულიად ცხადია, რომ გომინდანური მთავრობის საქმე ერთხელ და სამუდამოდ წაგებულია, რომ ეს მთავრობა სრულიად გაკოტრდა და რომ პასუხისმგებლობა ამ გაკოტრებისათვის თვით მას უნდა დაეკისროს. ამ მთავრობის გაკოტრება მომზადებული იყო მთელი მისი პოლიტიკით, მთელი მისი წინანდელი სამარცხვინო საქმიანობით.

ცხადია, განაგრძო ა. ი. ვიშინსკიმ, რომ გომინდანის წარმომადგენლის მიერ შემოტანილი საკითხი აღძრული და ხელოვნურად მოთრეულია იმ მიზნით და მოტივებით, რომელებსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ამოცანებთან საერთო არა აქვთ რა, და რომ მონაჩმახს, რომელიც აქ წარმოდგენილია გენერალური კომიტეტის განსახილველად, სრულიად არავითარი, არც ფაქტიური, არც ლოგიკური და არც კანონიერი საფუძველი არ გააჩნია.

სსრ კავშირის დელეგაცია გადაჭრით ილაშქრებს იმ ცდის წინააღმდეგ, რომ გენერალურ ასამბლეას გენერალური კომიტეტის მეშვეობით და მისი დახმარებით თავს მოახვიონ ამ მონაჩმახის განხილვა აშკარად პროვოკაციული და ცილისმწამებლური ოპერაციის საშუალებით, რასაც აქ მიმართავს გომინდანური მთავრობის წარმომადგენელი, რომელსაც მხარს უჭერენ უცხოეთის სახელმწიფოთა ზოგიერთი წრეები და შესაძლოა პირდაპირაც კი აქეზებენ მას.

თუ გენერალური კომიტეტი ამამართლიანებისა და გონივრულობის საწინააღმდეგოდ გადაწყვეტს ეს საკითხი შეიტანოს ასამბლეის დღის წესრიგში, ეს იქნება ერთ-ერთი აქტი საბჭოთა კავშირისადმი მტრული პოლიტიკისა, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ამხედრების პოლიტიკისა, რასაც ჩინეთის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის თითქოს საბჭოთა კავშირის მხრივ საფრთხის თავიდან აცილებასთან საერთო არა აქვს რა.

ძველ ჩინეთის გაკოტრებული მმართველები ცდილობენ გამოიყენონ ეს საკითხი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, მის იმ მტკიცე ღონისძიებათა წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც მიმართულია საერთაშორისო თანამშრომლობის განმტკიცებისაკენ როგორც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შიგნით, ისე მის ფარგლებს გარეთ. ამგვარი მეთოდები ოდნავაც არ უწყობენ ხელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განმტკიცებას. პირიქით, ჩინეთის დელეგატის ცილისმწამებლური საჩივრის მიღება მომასწავებელი იქნება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ რეაქციონერების პროვოკაციულ გამოხდომათა პირდაპირი წახალისებისა. გენერალურმა კომიტეტმა უნდა უარყოს გომინდანური მთავრობის დაუსაბუთებელი, ცილისმწამებლური და პროვოკაციული მონაჩმახი.

მიუხედავად თავმჯდომარის მოწოდებისა კომიტეტის წევრებისადმი, ინგლის-ამერიკის ბლოკის არც ერთ წარმომადგენელს სიტყვა არ აუღია. დუმდნენ ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთის, კანადის დელეგატები, რომელთა ფარულმა მხარდაჭერამ შესაძლებელი გახადა გომინდანური მონაჩმახის წარმოშობა. მხოლოდ საბერძნეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს ჩინეთის წარმომადგენლის მიერ შეტანილ საკითხს.

პოლონეთის წარმომადგენელმა ლიაქსმა, აღნიშნა რა, რომ ჩინეთის წარმომადგენლის მიერ წამოყენებული ბრალდებანი დამტკიცებული არ არის რაიმე სანდოთით, განაცხადა, რომ ჩინეთში შექმნილი მდგომარეობის საკითხი ჩინელი ხალხის საშინაო საქმეა. პოლონეთის წარმომადგენელმა განაცხადა, რომ იგი მხარს უჭერს სსრ კავშირის დელეგაციის წინადადებას — გენერალური ასამბლეის დღის წესრიგში შეტანილ არ იქნას ჩინეთის წარმომადგენლის საჩივარი.

ქვლავ ამუშავდა კენჭისყრის ინგლისურ-ამერიკული მანქანა. ამერიკის შეერთებული შტატებისა და ინგლისის წარმომადგენლებთან ერთად მორჩილად ასწია ხელი კომიტეტის სხვა ცხრა წევრმაც. სსრ კავშირისა და პოლონეთის დელეგაციებმა ხმა მისცეს დღის წესრიგში ამ საკითხის შეტანის წინააღმდეგ.

ა. ი. ვიშინსკიმ კომიტეტის თავმჯდომარის ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ, როგორც გამოქვეყნებული შედეგებიდან ჩანს, კენჭისყრაში მონაწილეობა კომიტეტის ყველა წევრს არ მიუღია. მართლაც, ხმა მისცა კომიტეტის მხოლოდ 13 წევრმა, მაშინ როცა ახალ წევრთან — სპეციალური პოლიტიკური კომიტეტის თავმჯდომარესთან ერთად სხდომაში მონაწილეობას იღებდა 15 წარმომადგენელი. თავმჯდომარემ რომულომ განაცხადა, კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიმიღიაო. კომიტეტის მეორე წევრი, რომელმაც უარი თქვა კენჭისყრაში მონაწილეობაზე, ვერ იმოვნეს.

სსრ კავშირის დელეგაციას მონაწილეობა არ მიუღია იმ საკითხისათვის კენჭისყრაში, თუ რომელ კომიტეტს გადაეცეს გომინდანის მონაჩმახი.

მუშაობა დაამთავრა ჩინეთის სახალხო პოლიტიკურმა საკონსულტაციო კონფერენციამ

მაო ძე-დუნი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ცენტრალური სახალხო საბჭოს თავმჯდომარეა

პეკინი, 30 სექტემბერი. (საკადესი). სინხუას სააგენტო იუწყება, რომ დღეს ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის სპეციალურ სხდომაზე ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ცენტრალური სახალხო საბჭოს თავმჯდომარედ ერთხმად არჩეულია ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე მაო ძე-დუნი. მთავრობის ცენტრალური სახალხო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილეებად არჩეული არიან: ჩინეთის დემოკრატიული ლიგის თავმჯდომარე ჯან ლანი, სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის მთავარსარდალი ჯუ დე, ჩრდილო-აღმოსავლეთის (მანჯურიის) სახალხო მთავრობის თავმჯდომარე და ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ჩრდილო-აღმოსავლეთის ბიუროს მდივანი გაო განი, გომინდანის რევოლუციური კომიტეტის თავმჯდომარე ლი ძი-შენი, ჩინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ლიუ შაო-ცი, და ქ-ნი სუნ ძი-ლინი (სუნ იატ-სენი).

მთავრობის ცენტრალური სახალხო საბჭო, რომელიც უფლებამოსილია განახორციელოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სახელმწიფო ძალაუფლება, არჩეულია 56 კაცის შემადგენლობით.

სააგენტო აღნიშნავს, რომ ეს ჩინეთის ისტორიაში პირველი ცენტრალური სახალხო მთავრობაა, რომელიც არჩეულია ხალხის დელეგატების მიერ.

კონფერენციის დღევანდელ სხდომაზე ერთხმად არჩეულია ავრეთვე ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო საბჭოს ეროვნული კომიტეტი, რომელიც ჩინეთის ერთიანი სახალხო დემოკრატიული ფრონტის ხელმძღვანელი ორგანოს წარმოადგენს და სახალხო მთავრობას წარუდგენს წინადადებებს უმნიშვნელოვანეს სახელმწიფო საკითხებზე. კომიტეტში არჩეულ 180 კაცს გარდა, მის შემადგენლობაში რეზერვირებულია 18 ადგილი იმ რაიონების წარმომადგენლებისათვის, რომლებიც კიდევ განთავისუფლებულ იქნება.

მთავრობის ცენტრალური სახალხო საბჭოს თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილეები და წევრები არჩეულ იქნენ ფარული კენჭისყრით, რასაც მეთვალყურეობდა კომისია კონფერენციაზე წარმოდგენილი 54 ორგანიზაციის 60 დელეგატისა და პერსონალურად მოწვეული დელეგატების შემადგენლობით. კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო კონფერენციის სულ 576 დელეგატმა, რომლებიც გადამწყვეტი ხმის უფლებით სარგებლობენ.

როცა გამოცხადებულ იქნა კენჭისყრის შედეგები, ყველა დელეგატი ფეხზე დგება და არჩეულთ მჭუხარე ტაშით მიესალმება. კონფერენციის ტრიბუნაზე მთავრობის საბჭოს ახლად არჩეული თავმჯდომარის მაო ძე-დუნისა და მისი მოადგილეების გამოჩენას დელეგატები შეხვდნენ ხმამაღალი მისალმებებითა და შეძახილებით: „გაუმარჯოს თავმჯდომარე მაო ძე-დუნს!“, „გაუმარჯოს ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას!“.

მაო ძე-დუნმა გამოაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო პოლიტიკური საკონსულტაციო კონფერენციის მუშაობა წარმატებით დამთავრდა.

სანამ ხმების დათვლა მიმდინარეობდა, ყველა დელეგატი გაემართა ყოფილი იმპერატორის სასახლის პეშკართან მდებარე ბაღში, რათა მონაწილეობა მიეღო იმ სახალხო გმირების ძეგლის საძირკვლის ჩაყრის ცერემონიაში, რომლებიც დაეცნენ 100 წელზე მეტი ხნის მანძილზე წარმოებულ რევოლუციურ ბრძოლაში.

მაო ძე-დუნმა გამოაქვეყნა წარწერა, რომელიც ძეგლს გაუკეთდება, და დაყარა პირველი პეშვი მიწა, რითაც აღინიშნა ძეგლის მშენებლობის დაწყება.

პოლონეთის მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

ვარშავა, 30 სექტემბერი. (საკადესი). დღეს პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემდეგი შინაარსის ნოტა გადასცა იუგოსლავიის საელჩოს ვარშავაში:

„საგარეო საქმეთა სამინისტრომ უკვე აცნობა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის საელჩოს ვარშავაში თავისი ამა წლის 8 სექტემბრის ნოტით, რომ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ზოგიერთი წარმომადგენლის, მაგალითად, პეტროვიჩ მილიჩის ჯაშუშობის უცილობელ ფაქტებთან ერთად იუგოსლავიის მთავრობის ორგანოების ბრძანებით წარმოიებს პოლონელი ხალხისა და პოლონეთის სახელმწიფოს მიმართ მტრული პოლიტიკური ძირგამომთხრელი საქმიანობა, რაც ემოხვევა ფაშისტური ირალეგალობის საქმიანობას და მოწმობს, რომ ეს მთავრობა მთლიანად დაუკავშირდა იმპერიალისტურ ბანაკს.

ამ ფაქტების მიხედვით პოლონეთის მთავრობა იძულებულია აღნიშნოს, რომ იუგოსლავიის ხალხებისა და პოლონელი ხალხის მისწრაფებათა და გრძნობათა წინააღმდეგ იუგოსლავიის მთავრობამ ფეხქვეშ გათელა და მოსპო მეგობრობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულება, რომელიც 1946 წლის 18 მარტს დაიდო პოლონეთის მთავრობასა და იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის.

რაიკისა და მისი თანამონაწილეების — სამშიოლოს მოღალატეებისა და იუგოსლავიის აგენტების პროცესმა ცხადყო, რომ იმპერიალისტური წრეებისადმი იუგოსლავიის მთავრობის სრული დამორჩილების შედეგად, რომელთა ირაღიც იგი იყო უკვე ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, იგრეთვე იმის გამო, რომ ეს მთავრობა გულმოდგინედ ასრულებს მათს ბრძანებებს, სსრ კავშირისადმი და სახალხო დემოკრატიის ქვეყნებისადმი ფარულ-ღალატური, მტრული პოლიტიკა იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობისა დაკავშირებულია სახალხო დემოკრატიის ქვეყნების დამოუკიდებლობისა და სუვერენიტეტის წინააღმდეგ მიმართულ კონტრრევოლუციურ შეთქმულებათა მოწყობასთან. ამ ფაქტების გამორკვევასთან დაკავშირებით პოლონეთის მთავრობა აცხადებს, რომ მას თავისთვის სავალდებულოდ აღარ მიაჩნია 1946 წლის 18 მარტის ხელშეკრულება.

საგარეო საქმეთა სამინისტროს, გარდა ამისა, მოეპოვება დამამტკიცებელი საბუთები, რომ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის მთავრობის ზემოხსენებული ჯაშუშური და დივერსიული საქმიანობა პოლონეთში, მიმართული პოლონეთის თავდაცვითი და ეკონომიური ძლიერების ძირის გამოთხრისაკენ, აგრეთვე არეულობათა მოწყობისაკენ, წინანდებურად ხორციელდება იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ვარშავის საელჩოს ხელმძღვანელობით, კერძოდ სამხედრო, სავაჭრო და პრესის ატაშეტების თანამშრომლების მიერ.

პოლონეთის მთავრობას ასეთი მდგომარეობა შეუუწყნარებლად მიაჩნია და გადაჭრით მოითხოვს — შეწყდეს პოლონეთისადმი იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ვარშავის საელჩოს მტრული საქმიანობა და პოლონეთის რესპუბლიკის ტერიტორიიდან დაუყოვნებლივ წავიდნენ იუგოსლავიის ფედერაციული სახალხო რესპუბლიკის ვარშავის საელჩოს შემდეგი წევრები: საელჩოს მრჩეველი ანტე რუკავინა, სამხედრო ატაშე პოდპოლკოვნიკი ივანო სუსნიარი, სამხედრო ატაშეს მოადგილე მაიორი ბოგიჩ ბლაგოეჩი, კაპიტანი მილოშ ბოხიჩი, უმცროსი ოფიცერი ვლადიმერ კოდერი, სავაჭრო ატაშე დრაგომირ მორავიჩი, სავაჭრო ატაშეს მოადგილე პანტო ლუკიჩი და პრესა-ატაშე ბოგდანკუ ჩალიჩი“.

უნგრეთის მთავრობის ნოტა იუგოსლავიის მთავრობისადმი

ბუდაპეშტი, 30 სექტემბერი. (საკადესი). 30 სექტემბერს უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრმა დიენეს ჩიუსეიამ მიიღო იუგოსლავიის დესპანი ბუდაპეშტში დ. ივანკოვიჩი და უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის სახელით შემდეგი შინაარსის ნოტა გადასცა:

„პროცესმა, რომელიც ბუდაპეშტის სახალხო სასამართლოში მიმდინარეობდა 1949 წლის 16 სექტემბრიდან 24 სექტემბრამდე ანტისახელმწიფოებრივ შეთქმულთა — ლასლო რაიკისა და მის თანამონაწილეთა საქმის გამო, და სახალხო სასამართლოს განაჩენმა ცხადყვეს, რომ იუგოსლავიის ახლანდელმა მთავრობამ თავისი უნგრელი აგენტების — იმპერიალისტურ სახელმწიფოთა ლაქიების მეშვეობით მოაწყო შეთქმულება, რომლის მიზანი იყო უნგრეთის სახალხო დემოკრატიის დამხობა. ბუდაპეშტის სახალხო სასამართლოში ჩატარებულმა პროცესმა დაამტკიცა, რომ შეთქმულების მოსაწყობად და უნგრეთის ხელმძღვანელი სახელმწიფო მოღვაწეების, უნგრეთის მთავრობის წევრების მოკვლის მოსამზადებლად იუგოსლავიის მთავრობის მინისტრი რანკოვიჩი ფარულად ჩამოდიოდა უნგრეთში. პროცესზე აგრეთვე დამტკიცდა, რომ იუგოსლავიის მთავრობა უკვე 1947 წელს, უნგრეთ-იუგოსლავიის მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტში, ამზადებდა

ჭრუმენის აღიარება

ვაშინგტონი, 28 სექტემბერი. (საკადესი). პრეზიდენტმა ტრუმენმა დემოკრატიულ პარტიის ქალთა განყოფილების თხოვნით წარმოთქმულ მოკლე სიტყვაში განაცხადა, რომ დემოკრატიული პარტიის პროგრამაში მთავარი ყურადღება ექცევა „აყვავებასა და მშვიდობას“.

ამასთან ერთად ტრუმენმა აღიარა, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში „საკმო რაოდენობით არ არის კარგი სახლები ჩვენი მოსახლეობისათვის, რომელიც სწრაფად მრავლდება“, და „ბევრი ჭაბუკი და ქალიშვილი ვერ იღებს სათანადო განათლებას. ჩვენ არ გვყოფნის მასწავლებლები და სასკოლო შენობები. ჩვენი სკოლები სულ უფრო და უფრო ზომაზე მეტად იკუმშება.“ ბევრ რაიონში, თქვა შემდეგ ტრუმენმა, „არ გვყოფნის ექიმები და ჰოსპიტლები, და ბევრი ოჯახი ვერ სარგებლობს სამედიცინო მომსახურებით, რომელიც მას ესაჭიროება“.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მოგებიანი სესხის ოფიციალური ცხრილი

მოგებათა მე-11 ტირაჟისა, რომელიც შედგა ქ. თბილისში 1949 წლის 1 სექტემბერს.

ცხრილში ნაჩვენებია მოგებული სერიათა 170 ნომერი. თითეული სერია ობლიგაციების 50 ნომრისაგან, რომლებსაც ხვდათ მოგება, მაშასადამე, ცხრილი შეიცავს 8.500 მოგებას (170×50) სესხის ერთ თანრიგზე.

თუ ცხრილის სვეტში „ობლიგაციათა №№“ დაბეჭდილია ობლიგაციის ერთი ნომერი ვარსკვლავით*), ეს იმას ნიშნავს, რომ „მოგების ოდენობის“ სვეტში აღნიშნული მოგება ხვდა ობლიგაციის ამ ნომერს, ხოლო ამავე სერიის ობლიგაციების დანარჩენმა 49 ნომერმა მიიგო 400 მანეთი თვითეულმა.

იმ შემთხვევაში, როცა სვეტში „ობლიგაციათა №№“ დაბეჭდილია ნომრები „1—50“, ეს იმას ნიშნავს, რომ მოცემული სერიის ობლიგაციათა ორმოცდაათასავე ნომერს (№ 01-დან № 50-მდე) ხვდა „მოგების ოდენობის“ სვეტში აღნიშნული ერთნაირი მოგება.

სულ ტირაჟში სესხის ერთ თანრიგზე გათამაშებულია 4,650,200 მანეთის 8.500 მოგება, მათ შორის: 2 მოგება 50.000 მანეთიანი, 5 მოგება 25.000 მანეთიანი, 25 მოგება 10,000 მანეთიანი, 80 მოგება 5.000 მანეთიანი, 700 მოგება 1.000 მანეთიანი და 7.688 მოგება 400 მანეთიანი.

ცხრილში ნაჩვენებია 200-მანეთიანი ობლიგაციების მოგება.

მოგებულ ობლიგაციებზე გაიცემა შემდეგი თანხა:

ორასმანეთიანი ობლიგაციის მოგების ოდენობა	გაიცემა მოგება	
	200 მანეთიან ობლიგაციაზე	100 მანეთიან ობლიგაციაზე
50.000 მანეთი	50.000	25.000
25.000 მანეთი	25.000	12.500
10.000 მანეთი	10.000	5.000
5.000 მანეთი	5.000	2.500
1.000 მანეთი	1.000	500
400 მანეთი	400	200

მოგების თანხაში შედის მოგებული ობლიგაციის ნომინალური ღირებულება.

შემნახველი სალაროები ამ ცხრილის მიხედვით მოგებათა გაცემას დაიწყებენ გაზეთის მოსვლის შემდეგ.

სახელმწიფო 3-პროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის მოგებათა მე-11 ტირაჟში მოგება ხვდა სერიებისა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს:

სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობა მანეთობით	სერიის №	ობლიგაციის №	მოგების ოდენობა მანეთობით
000127	1—50	400	023591	30*)	10.000	044313	34*)	5.000	075453	1—50	1.000
001829	16*)	5.000	023913	47*)	5.000	044983	24*)	10.000	077094	33*)	10.000
001923	1—50	400	024601	35*)	5.000	045693	1—50	400	077096	25*)	5.000
001974	36*)	5.000	025365	1—50	400	046145	1—50	400	077448	19*)	5.000
002187	1—50	400	027505	41*)	10.000	046587	1—50	400	078066	41*)	5.000
002997	24*)	5.000	029172	1—50	400	047056	48*)	5.000	079844	41*)	5.000
003144	07*)	10.000	029295	1—50	400	047257	1—50	400	079851	33*)	10.000
003223	34*)	5.000	029708	1—50	1.000	047333	48*)	5.000	080064	05*)	5.000
003907	23*)	10.000	029912	15*)	5.000	048337	43*)	5.000	080292	26*)	5.000
004432	33*)	10.000	030907	07*)	5.000	048731	39*)	10.000	080522	35*)	5.000
004671	38*)	5.000	031173	1—50	1.000	051009	24*)	10.000	080828	32*)	5.000
005845	1—50	400	031664	1—50	400	053054	1—50	400	080945	15*)	5.000
005858	1—50	400	031697	40*)	5.000	053534	47*)	5.000	080954	24*)	5.000
006526	35*)	5.000	031984	08*)	10.000	054728	1—50	400	082499	25*)	5.000
006544	25*)	5.000	034172	1—50	400	055493	36*)	10.000	082677	34*)	5.000
006583	47*)	5.000	034592	1—50	400	055734	1—50	400	082837	02*)	5.000
006807	04*)	5.000	034692	1—50	400	055936	38*)	25.000	084248	07*)	5.000
007670	18*)	25.000	034931	49*)	5.000	056604	03*)	5.000	084412	22*)	5.000
007803	03*)	5.000	034974	1—50	400	057635	39*)	10.000	085229	1—50	400
008503	19*)	5.000	035429	20*)	10.000	057985	1—50	400	086190	1—50	400
009000	34*)	25.000	035859	36*)	5.000	058581	1—50	400	086276	1—50	1.000
010430	25*)	5.000	036503	1—50	400	060982	1—50	400	086418	1—50	400
010619	1—50	400	037133	21*)	5.000	062393	49*)	10.000	086464	50*)	5.000
010917	50*)	5.000	038251	47*)	5.000	064567	50*)	10.000	087149	44*)	5.000
011624	40*)	5.000	039104	44*)	5.000	065041	41*)	5.000	087340	1—50	1.000
012113	1—50	400	039107	06*)	5.000	065163	27*)	5.000	087905	1—50	1.000
012456	1—50	400	039275	48*)	5.000	065276	1—50	400	089574	34*)	5.000
012510	47*)